

<https://doi.org/10.52340/gbasb>

ISSN 2233-3606 (print)
ISSN:2960-981X (online)

საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემია
GEORGIAN ACADEMY OF BUSINESS SCIENCES

საერთაშორისო რეფერირებადი და რეცენზირებადი
სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი

მოამბე
51
MOAMBE

**INTERNATIONAL PRECISED AND REVIEWED
SCIENTIFIC-PRACTICAL MAGAZINE**

თბილისი 2024 TBILISI

**„მოამბე“ გამომცემის 1995 წლიდან
„MOAMBE“ IS PUBLISHED SINCE 1995**

სტატიები მიიღება შემდეგი მოთხოვნების გათვალისწინებით

1. ტექსტი აკრეფილი უნდა იყოს Word-ში, Sylfaen-ში, შრიფტის ზომა 12, ინტერვალური სტრიქონებს შორის 1.5, ველების დაშორება მარჯვენა-მარცხენა მხარეს 2 და 3 სმ. შესაბამისად, ზედა და ქვედა 2.5 და 2.5 სმ. ტექსტი უნდა აიკრიფოს გადატანების გარეშე. ცხრილები გადაყვანილი JPEG ფორმატში. სტატიის მინიმალური მოცულობა უნდა იყოს არანაკლებ 5 გვერდი A4 ფორმატის.
2. ავტორის სახელი, გვარი, სამეცნიერო წოდება და თანამდებობა, საკონტაქტო კოორდინატები (ტელეფონები, ელ-ფოსტა).
3. სტატიას უნდა ახლდეს სტატიის სათაური და რეზიუმე ქართულ და ინგლისურ ენებზე. რეზიუმე უნდა იყოს მოცულობით 120-150 სიტყვა, აკრეფილი შესაბამისად Sylfaen-ში და Times New Roman-ში, შრიფტის ზომა 12, სამეცნიერო სტატიას უნდა დაერთოს გამოყენებული ლიტერატურის სია.
4. სტატია შეიძლება გამოქვეყნდეს ნებისმიერ უცხო ენაზეც. ასეთ შემთხვევაში, ჩვენი მოთხოვნაა რეზიუმე მოგვანოდოთ ქართულ და ინგლისურ ენებზე.

სტატიების გადმოგზავნა შესაძლებელია შემდეგ ელექტრონულ მისამართზე:

temur.babunashvili@mail.ru; mariizoria@mail.ru;

ტელეფონები: 593 23 99 58; 593 95 92 47

ვებ-გვერდი: www.sbma.ge

Continues taking articles according to this requests:

1. Text must be gathered in Word, size of AcadNusx font 12, interval between lines – 1.5; borders in right and left side – 3 and 2 sm. Also, up and down borders – 2,5 and 2,5 sm. Text must be picked up without transferring. Tables should be in JPEG. The minimal size of article is Spages of A4 format.
2. The first name of author, last name, scientific rank and post, coordinates (telephone number, e-mail).
3. The article must have reziume in Georgian and English languages. The size should be 120-150 words, it must be picked up in AcadNusx and in Times New Roman, size of font – 12. Scientific article must have list of used literature.
4. The article may be published in any foreign language. So, it is also our request to prepare rezi-ume in Georgian and English languagues too.

E-mail: temur.babunashvili@mail.ru; mariizoria@mail.ru;

Tel: 593 239 958; 593 959 247

www.sbma.ge

საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემია დაფუძნდა 1995 წლის 23 მარტს. აკადემია საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ რეგისტრაციის ბაზარა 1995 წლის 9 აპრილს, რეგისტრაციის სერტიფიკატის №1982

THE GEORGIAN ACADEMY OF BUZINESS SCIENCES WAS ESTABLISHED ON MARCH 23, 1995. THE ACADEMY WAS REGISTERED ON APRIL 9, 1995 BY MINISTRY OF GEORGIA (CERTIFICATE #1982)

მთავარი რედაქტორის მიმართვა ჟურნალ მოამბის ახალ სტატუსთან
დაკავშირებით

პატივცემულო სარედაქციო კოლეგის წევრებო, სამეცნიერო სტატიების ავტორებო და ჩვენი საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალ „მოამბის“ მკითხველთა ფართო წრის წარმომადგენლებო, მაქვს პატივი მოგილოცოთ ჩვენი ჟურნალის საერთაშორისო სტატუსის ახალ საფეხურზე აღზევება, სულ ცოტა ხნის წინ ჟურნალ მოამბეს მიენიჭა „დოის ინდექსი“, ასევე ყველა გამოქვეყნებულ სტატიას ინდივიდუალურად მიენიჭება დოის ინდექსი და ეს ინფორმაცია განთავსდება ქვემოთ ჩამოთვლილ ინდექსაციის რეგისტრირებულ ბაზებში:

- SCILIT INDEXING DATABASE
- ACADEMIC RESOURCE INDEX/RESEARCHLIB
- WORLDCAT.ORG
- INTERNATIONAL SCIENTIFIC INDEXING
- COSMOS IMPACT FACTOR
- SCIENTIFIC JOURNAL IMPACT FACTOR
- INDEX COPERNICUS INTERNATIONAL
- GOOGLE SCHOLAR
- EUROPUB

მინდა გაცნობოთ, რომ ჟურნალ მოამბეს ასევე მიენიჭა ელექტრონული ISSN ვერსია. ჟურნალის დოის ინდექსია: <https://doi.org/10.52340/gbasb>

ხოლო ISSN-ებია:

ISSN:2233-3606 (print) და ISSN:2960-981X (online)

ასევე ინფორმაციის გაცნობა შეგიძლიათ ჩვენს „Facebook გვერდზე „საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემია“ -

<https://www.facebook.com/profile.php?id=100066389803059> .

ყველა დაინტერესებულ ფიზიკურ პირს ან ორგანიზაციას შეგიძლიათ დამიკავშირდეთ მობილურ ტელეფონზე : 593239958 ან ელექტრონული ფოსტის მეშვეობით: temur.babunashvili@mail.ru

ჩვენი ჟურნალის სარედაქციო კოლეგიის სახელით გამოვთქვამ მზაობას ურთიერთ თანამშრომლობის გაგრძელებასთან დაკავშირებით ახალ პირობებზე.

პატივისცემით,
ჟურნალ მოამბის მთავარი რედაქტორი
და სარედაქციო კოლეგიის თავჯდომარე,
ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი, ქ.თბილისის საპატო მოქალაქე
თეიმურაზ ბაბუნაშვილი

**ADDRESS OF THE EDITOR-IN-CHIEF
REGARDING THE NEW STATUS OF “MOAMBE” JOURNAL**

Dear editorial board members, authors, and representatives of a wide circle of readers of our international scientific journal “Moambe”! I have the honor to congratulate you on the rise of our magazine to a new level of international status. The journal was recently awarded a Digital Object Index (DOI). Also, all articles published in it will be individually assigned a DOI and this information will be placed in the following indexing bases:

- SCILIT INDEXING DATABASE
- ACADEMIC RESOURCE INDEX/RESEARCHLIB
- WORLDCAT.ORG
- INTERNATIONAL SCIENTIFIC INDEXING
- COSMOS IMPACT FACTOR
- SCIENTIFIC JOURNAL IMPACT FACTOR
- INDEX COPERNICUS INTERNATIONAL
- GOOGLE SCHOLAR
- EUROPUB

Journal DOI: <https://doi.org/10.52340/gbasb>

Print version ISSN:2233-3606

Electronic version ISSN:2960-981X

Information can be found on the “Georgian Academy of Business Sciences” Facebook page - <https://www.facebook.com/profile.php?id=100066389803059>

All interested individuals or organizations can contact me by mobile phone at 593-23-99-58, or via e-mail: temur.babunashvili@mail.ru

On behalf of the editorial board of our magazine, I express my readiness to continue cooperation under new conditions.

Sincerely,
Editor-in-Chief of “Moambe” magazine,
Chairman of the editorial board,
Doctor of Economic Sciences, Professor
Teimuraz Babunashvili

„მოამბე“

საერთაშორისო რეპორაჟაჟი და რეცენზირებადი
სამეცნიერო ჟურნალი, №51, 2024 წელი

თეიმურაზ ბაბუნაშვილი - მთავარი რედაქტორი და სარედაქციო კოლეგიის თავმჯდომარე,
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი, საქართველოს ბიზნესის
მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი,
ქ. თბილისის საპატრიო მოქალაქე.

სარედაქციო კოლეგია მეცნიერებათა დოქტორები, პროფესორები

აბდუშელიშვილი გივი, აბუსაძე რამაზი, აბრალავა ანზორი, არნანი თამილა, ბაბუნაშვილი გიორგი (აშშ), ბაკაშვილი ნიკოლოზი, ბარათაშვილი ევგენი, ბერიძე თეიმურაზი, გვალია ნარგიზი, გომოხია რევაზი, გველესიანი მერაბი, გეგუაძე ანდრეი, ელიაშვილი, თურნაშვილი, იზორია მარინა, კოჭლამაზაშვილი ლეო, კურთანიძე დავითი (აშშ), კვლიაშვილი ვაჟა, ლაბარტყავა გულთაზი, ლოხვაძე გივი, ლეკაშვილი ეკა, მელაქსეაძე, მძევაბიშვილი ელგუჯა, ნარმანი დავითი, პაიჭაძე ნუგზარი, როკატლიშვილი მიხეილ (აშშ), სილაგაძე ავთანდილი (საქ. მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი), სოლომონიშვილი დავითი, უბრახელიძე მინდია, ქარჩავა ლეონი, ქეშელაშვილი მარია, ქუთათელაძე რუსუდანი, ყიფიანი გელა, ყურაშვილი გუგული, შენგელია თეიმურაზი, შენგელია რევაზი, ჩაბელიშვილი ლალი, ჩაქვალიშვილი მარია, ჩხეიძე ნიკო, ჭითანაშვილი ნოდარი, ჭუმბურიძე მამია, ხელაშვილი იოსებო, მამედოვი ფიზული (აზერბაიჯანის რესპუბლიკა), მელნიკი ტატიანა (უკრაინა), სერძანიანი ნაიკი (სომხეთი), ალირზაევი ალი (აზერბაიჯანის რესპუბლიკა), ბორჯღოძე ტატიანა (ბელორუსია), ალუხანოვი ესპერანო (ყაზახეთის რესპუბლიკა), ბალიანი ლევონი (უკრაინა), ზალდანიანი ინგო (ესტონეთი), ვლოჟენკო ნატალია (უკრაინა), მიხაილ ვარჩოლა (სლოვაკეთი), ბალიანი კუზმენკო (უკრაინა), ტაღუშვილი ტროციკოვსკი (პოლონეთი). ანატოლი შიშკოვი (რუსეთი), იანკო სტროჟნი (პოლონეთი), ალიონა ალინიკოვა (უკრაინა), ევგენი შუკოვი (რუსეთი), მანტაშვილი რასკაუსკას (ლიეტუვა), ვიტორია ბრიგალივანა (ლიეტუვა).

შეიქმნა რედაქციის ყოველთვიის არ იზიარებდეს ავტორის აზრს

№51, 2024 წელი

„MOAMBE“
QUARTELY INTERNATIONAL SCIENTIFIC MAGAZINE,
PRECISED AND REVIEWED №51, 2024

TEIMURAZ BABUNASVILI- Editor-in-Chief and Head of Editorial Board,
Doktor of Economic Science, President of
Georgian Academy of Business Science,
Honored citizen of Tbilisi

E EDITORIAL BOARD
Doctors of science, Professors

ABDUSHELISHVILI GIVI, ABESADZE RAMAZI, ABRALAVA ANZORI, ARNANIA TAMILA, BABUNASHVILI GIORGI (USA), BAKASHVILI NIKOLOZI, BARATASHVILI EVGENI, BERIDZE TEIMURAZI, GVALIA NARGIZI, GOGOKHIA REVAZI, GVELESIANI MERABI, GECHBAIA BADRI, ELIAVA LIA, TURNAVA NATIA, IZORIA MARINA, KURTANIDZE DAVITI (USA), KUTATELADZE RUSUDANI, KVALIASHVILI VAJA, LABARTKAVA GULTAZI, LOBJANIDZE GIVI, LEKASHVILI EKA, MELADZE SERGO, MEQVABISHVILI ELGUJA, NARMANIA DAVITI, PAICHADZE NUGZARI, ROKETLISHVILI MIKHEILI (USA), SILAGADZE AVTANDILI (Member of Georgian national Academy of Science), SOLOGASHVILI DALI, UGREKHELIDZE MINDIA, KARCHAVA LOIDI, KESHELASHVILI OMARI, KIFIANI GELA, KOCHLAMAZASHVILI LELA, KURASHVILI GUGULI, SHENGELIA TEIMURAZI, SHENGELIA REVAZI, CHAGELISHVILI LALI, CHECHELASHVILI MAIA, CHIKHLADZE NIKO, CHITANAVA NODARI, CHUMBURIDZE MAMIA, KHELASHVILI IOSEBI, MAMEDOVI FIZULI (AZERBAIDJAN), MELNIKI TATIANA (UKRAINA), SERKHAIANI NAIKI (ARMENIA), ALIRZAEVI ALI (AZERBAIDJAN), BORZDOVA TATIANA (BELORUSIA), ALUKHANOVI ESBERGI (KAZAKHSTAN), GALINA LOPUSHNIAK (UKRAINA), ZALENIENI INGA (ESTONIA), VDOVENKO NATALIA (UKRAINA), VARCHOLA MICHAL (SLOVAKIA), GALINA KUZMENKO (UKRAINA), TADEUSZ TROCIKOWSKI (POLAND), ANATOLI SHEVCHUK (RUSSIA), IACEK STROJNI (POLAND), ALIONA ALENIKOVA (UKRAINA), EVGENI DJUKOV (RUSSIA). MANTAUTAS RASKAUSKAS (LITHUANIA), VIKTORIA GRIGALIVANAITE (LITHUANIA).

შინაარსი

1. შალვა კერესელიძე, ნინო გელიაშვილი	9
ევროკავშირთან საქართველოს კავშირების ისტორია	
2. ლაშა გაღილია	14
შავი ზღვის აუზში საზღვაო სამგზავრო მომსახურების განვითარება	
3. გიორგი აბაჯაძე	19
რელიგიური კონფლიქტების გაუქმების პრობლემა ქართულ მედიაში	
4. ნინო ფართლაძე, ეკატერინე მარუაშვილი	26
ვარინტულოზის ტიპოლოგია	
5. ნინო გელიაშვილი	30
ევროკავშირის სუპრანაციონალური ბუნება და ერთიანი ზეპროექტი ინტერენების აღიარება	
6. თეიმურაზ ყანდაშვილი, მარიკა სვანაგინი	34
დასაქმების ციფრული ტრანსფორმაცია	
7. ირაკლი მიქაძე	39
ალტერნატიული ელექტროენერგეტიკა (მზის, ქარის, გეოთერმული და ბიომასის ენერჯიები	
8. გურამ მარსულია	44
აერთაშორისო ორგანიზაციების როლი და მნიშვნელობა მსოფლიო პოლიტიკაში	
9. მაია ჯამგაზიშვილი	53
კულტურული მემკვიდრეობის პოტენციალის ეფექტურობა ბიზნეს ბარემოს ფორმირებისთვის	
10.სათუნა კაჭარავა, ფატი მამიაშვილი	58
სოციალური მედიის როლი კრიზისულ კომუნიკაციაში - პროფესიული მედიის გამომწვევები	
11.EKATERINE MARUASHVILI	66
STYLISTICS AND CONTEMPORARY FICTION	
12. მარიკა სვანაგინი	70
ქ. თბილისის მართვის მუნიციპალური ორგანოს - მერიის ქალისხმევაები მოსახლეობის დასაქმების უზრუნველყოფაში	
13. ზვიად იაკობიძე	81
საზღვაო ტრანსპორტი: განვითარების ტენდენციები მსოფლიოში და საქართველოს ეკონომიკაში	
14. მარინა იზორია	88
საერთაშორისო ტერორიზმი, როგორც გეოპოლიტიკური მიზნების მისაღწევი ფაქტორი	
15. ირაკლი ზაზას ქე მიქაძე	94
პროფესიული განათლების დონის ამაღლება - ქვეყნის ეკონომიკური განვითარების საწინდარი	

CONTENTS

1. SHALVA KERESLIDZE, NINO GELIASHVILI	9
HISTORY OF RELATIONS OF GEORGIA WITH THE EUROPEAN UNION	
2. LASHA GADILIA	14
DEVELOPMENT OF MARITIME PASSENGER SERVICES IN THE BLACK SEA BASIN	
3. GIORGI ABAZADZE	19
THE PROBLEM OF COVERAGE OF RELIGIOUS CONFLICTS IN THE GEORGIAN MEDIA	
4. NINO FARTLADZE, EKATERINE MARUASHVILI	26
DYNAMIC STUDY OF CRANE VEHICLES	
5. NINO GELIASHVILI	30
THE SUPRANATIONAL NATURE OF THE EUROPEAN UNION AND THE RECOGNITION OF COMMON SUPRANATIONAL INTERESTS	
6. TEIMURAZ KANDASHVILI, MARIKA KHVADAGIANI	34
DIGITAL TRANSFORMATION OF EMPLOYMENT	
7. IRAKLI MIKADZE	39
ALTERNATIVE ELECTRIC ENERGY (SOLAR, WIND, GEOTHERMAL AND BIOGAS ENERGIES)	
8. GURAM MARKHULIA	44
THE ROLE AND SIGNIFICANCE OF INTERNATIONAL ORGANIZATIONS IN WORLD POLITICS	
9. MAIA JAMBAZISHVILI	53
EFFECTIVENESS OF CULTURAL SURVEILLANCE POTENTIAL FOR THE FORMATION OF BUSINESS ENVIRONMENT	
10. KHATUNA KACHARAVA, PATI MAMIASHVILI	58
THE ROLE OF SOCIAL MEDIA IN CRISIS COMMUNICATION - CHALLENGES OF PROFESSIONAL MEDIA	
11. EKATERINE MARUASHVILI	66
STYLISTICS AND CONTEMPORARY FICTION	
12. MARIKA KHVADAGIANI	70
EFFORTS OF THE MUNICIPAL GOVERNMENT OF THE CITY OF TBILISI - THE MAYOR'S OFFICE TO ENSURE EMPLOYMENT OF THE POPULATION	
13. ZVIAD IAKOBIDZE	81
SEA TRANSPORTATION: DEVELOPMENT TRENDS IN THE WORLD AND GEORGIAN ECONOMY	
14. MARINA IZORIA	88
INTERNATIONAL TERRORISM AS A FACTOR IN SOLVING GEOPOLITICAL GOALS	
15. IRAKLI MIKADZE	94
RAISING THE LEVEL OF PROFESSIONAL EDUCATION IS A PREREQUISITE FOR THE COUNTRY'S ECONOMIC DEVELOPMENT	

ევროკავშირთან საქართველოს კავშირების ისტორია

შალვა კერესელიძე
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

ნინო გელიაშვილი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

DOI: <https://doi.org/10.52340/gbsab.2024.51.11>

საკვანძო სიტყვები: ევროკავშირი; საქართველო; კავშირების ისტორია.

ცნობილი მენცნიერი ჟაკ ლე გოლფი თავის ნაშრომში [Le Golff J. 2005] აღნიშნავს, რომ ევროპა XI-XIII საუკუნეებში გაჩნდა და თავისი იდენტობის გარკვეული ასპექტები ევროპამ ანტიკური ცივილიზაციიდან მიიღო. ერთ-ერთ ასეთ ასპექტად იგი მმართველობის დემოკრატიულ მოდელს ასახელებს. მეორე მეცნიერი - კრისტიან მეიერი ევროპისა და მისი პოლიტიკური კულტურის საწყისებში საბერძნეთის დიდ წვლილს ხედავს და ამ გაგებით იგი აიგივებს ბერძნებს ევროპასთან [Meier Chr. 2012]. ამ კონტექსტში საინტერესოა მეცნიერ ა. პაგდენის წერილიც, რომელიც 2002 წელს გამოსულ კრებულში - „The Idea of Europe From Antiquity to the European Union“ - დაიბეჭდა, და, რომელშიც ის ევროპის იდენ-ტობას შორეულ წარსულს უკავშირებს და ეს კავშირი ანტიკურობამდე მიდის [ნადარეიშვილი ქ., ჭეიშვილი თ. 2014].

ამავე აზრს გამოთქვამდნენ მთელი რიგი სხვა მეცნიერები, მწერლები და ფილო-სოფოსები. მწერალი პოლ ვალერი ევროპული იდენტობის განუ-ყოფელ კომპონენტებად მოიაზრებდა რომაულ კანონმდებლობას, ქრისტიანულ რწმენას და ბერძნების კრიტიკულ სულს. მსგავს აზრებს გამოთქვამდა მეცნიერი ნ. ვილტერდიკი. იგი ასახელებს ძველი ბერძნების და რომაელების წვლილს ევროპული ცივილიზაციის შექმნაში - ბერძნებისგან მათ მიიღეს პიროვნული ღირსების ფენომენი, რომაელებისგან კი - კანონმდებლობა [Wilterdiki N. 1993]. ფილოსოფოსი ჰუსერლისთვის კი ევროპული სულის დაბადების აკვანი VII საუკუნის საბერძნეთი იყო.

თუ ევროპული სივრცის ფორმირების საკითხს ჩვენც ამ თვალთა-ხედვით განვი-ხილავთ, მაშინ უნდა გავიხსენოთ ჩვენი მჭიდრო კავშირები, როგორც საბერძ-ნეთთან, ისე იტალიასთან, არათუ VII საუკუნეში, არამედ, მის წინა საუკუნეებშიც. კერძოდ, ახალი წელთაღრიცხვის 14 წელს იბერიამ „რომის მეგობრის“ სტატუსი მიიღო, ხოლო იმპერატორ ანტონინუს პიუსის მეფობის წლებში (138-161 წ.წ.) საქართველოს მეფე ფარსმან II, იგივე „ფარსმან ქველი“, მეუღლით, შვილებით და წარჩინებულებით ჩადის რომში, სადაც მას დიდი პატივით იღებენ. იმპერატორმა გაუდიდა მას სამფლობელო, ნება დართო კაპიტოლიუმში მსხვერპლი შეეწირა, მისი ცხენოსანი ქანდაკება ენიალიონზე დაადგმევინა და უყურებდა ფარსმანის, მისი ვაჟის და წარჩინებულთა სამხედრო ვარჯიშს კოლიზოუმში [მუსხელიშვილი დ., სამსონაძე მ., დაუშვილი ა. 2012]. ეს ხომ უსაფუძვლოდ არ იქნებოდა! შემდეგ იყო თამარაშვილის მოღვაწეობა იტალიაში (და საფრანგეთში), შემდეგ სულხან-საბასი და სხვების და სხვების.

კიდევ უფრო ძველია საქართველოს კავშირები ბერძნულ სამყაროსთან. ძვ. წ. აღ. VIII-VI საუკუნეები არის ე. წ. „დიდი ბერძნული კოლონიზაციის პერიოდი“, როდესაც საბერძნეთის მოსახლეობის ნაწილი დასახლებას იწყებს „ფაზისიდან

ვიდრე ჰერაკლეს სვეტამდე“ (პლატონი). ანტიკურ წყაროებში დასახელებულია შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე მათ მიერ დაარსებული სამი სავაჭრო ფაქტორი: ფაზისში, დიოსკურიაში (სოხუმთან) და გიონოსში (ოჩამჩირესთან). ქართველმა არქეოლოგებმა ბერძნების მსგავსი დასახლებები აღმოაჩინეს ქობულეთთან, ბათუმის ციხესთან და ეშერის ნაქალაქარზე [მუსხელიშვილი დ., სამსონაძე მ., დაუშვილი ა. 2012]. ამის გარდა, არსებობს არგონავტების მითოსი, რომელიც რა თქმა უნდა, ცარიელ ადგილზე არ შეიქმნებოდა. უკვე III-IV საუკუნეებში საქართველოში ფოთის მახლობლად არსებობდა კოლხეთის რიტორიკული სკოლა, სადაც სწავლება ქართულ და ბერძნულ ენებზე მიმდინარეობდა [მეტრეველი რ. 2018].

ეს ურთიერთობები შემდეგ საუკუნეებშიც გრძლდებოდა. მეტიც, ურთი-ერთობა იყო არა მხოლოდ პოლიტიკური ან სამხედრო, არამედ, ახალგაზრდების აღზრდა-განათ-ლებისა და ოჯახური დანათესავებისაც. 1116 წელს დავით აღმაშენებლის ასული კატაი დაქორწინებულა ბერძენთა მეფის ვაჟზე. დავით აღმაშენებელს 40 ბავშვი აურჩევია და საბერძნეთში გაუგზავნია, რათა ესწავლათ [მეტრეველი რ. 2018]. ეს ცნობა ერთ-ერთ ქართულ ხალხურ ლექსში ასეა გალექსილი:

„...ათენსა სწვრთნიდის ჭაბუკთა
იყალთოს მონასმენთასა...“

ეს ურთიერთობები შემდეგში საბერძნეთსა და იტალიასთანაც გაგრძელდა და ევროპის სხვა ქვეყნებთანაც - საფრანგეთთან, გერმანიასთან, რუმინეთთან, პოლონეთთან და სხვებთან. მოვიყვანოთ რამდენიმე ყველაზე მეტად ცნობილ ფაქტებს:

სულხან-საბა ორბელიანის მოგზაურობა ევროპაში. ეს არის სულხან-საბა ორბელიანის დღიურები, რომელიც ეხება მის მოგზაურობას ევროპაში, რომელიც არის იმის დასტური, რომ საქართველოს დღევანდელი მისწრაფება ევროპისკენ არ არის ნაუცბათევი, ნაჩქარევი და ამწუთიერი. ეს მოგზაურობა სულხან-საბამ როგორც საქართველოს მეფის - ვახტანგ VI-ის ელჩმა 1719 წლის 17 აგვისტოს დაიწყო. როგორც თვითონ ვახტანგს, ისე სულხან-საბას დიდი იმედი ჰქონდათ, რომ ევროპის ორი დიდი ლიდერი - რომის პაპი და საფრანგეთის მეფე ლუი XIV - საქართველოს მფარველობას გაუწევდნენ სპარსეთიდან და ოსმალეთიდან გადარჩენაში [ნაცვლიშვილი პ. 2014]. საქართველოს სიმპათიები ევროპისადმი მანამდისაც არაერთხელ გამოვლენილა სხვადასხვა ფორმით, მაგრამ პოლიტიკური თვალთახედვით ვახტანგ VI-ის ეს ნაბიჯი საქართველოს ისტორიაში იყო უპრეცედენტო. ფაქტიურად, ამ ნაბიჯით დაიწყო სერიოზული და მასშტაბური სვლა ევროპისკენ. სულხან-საბას ელჩობას ევროპაში არანაირი შედეგი არ მოჰყოლია. მან ვერ შეასრულა ის როლი, რაზეც იგი მოწოდებული იყო, რადგან ვერ შემოიტანა საქართველოში ევროპული ღირებულებები, როგორც სპარსული და ოსმალური ღირებულებების საპირწონე. მაშინ საფრანგეთის პოლიტიკურ-ეკონომიკური მდგომარეობა არ იყო სახარბიელო. გაუთავებელმა ომმა არმია მოქანცა, სახელმწიფო მმართველობის აპარატი მოშალა, ეკონომიკა გააჩანაგა. იმ დროს საფრანგეთისთვის ქართლი ნაკლებად საინტერესო იყო და მისი გულისთვის ასეთ საქმეებში ჩასარევად არ ეცალა [მენაბდე ლ. 2011]. ეს „მოუცლელობა“ ასე გამოთქვა ქართველმა პოეტმა მუხრან მაჭავარიანმა [მაჭავარიანი მ. 1979]: „რაც შეიტანა, ისევე ის გამოიტანა, იმ სახელგანთქმულ ვერსალიდან ელჩმა ქართლისამ...“

ეს ჩანართი მაინცდამაინც დადებითად არ ახასიათებს იმდროინდელი ევროპის დამოკიდებულებას საქართველოს მიმართ, მაგრამ ჩვენი საკვლევი პრობლემის კონტექსტში იგი გამოყენებადია. ეს არის კიდევ ერთი მაგალითი იმისა, რომ საქართველო ყოველთვის მიისწრაფოდა ევროპისკენ და თუ მაშინ, დღევანდელი მდგომარეობისგან განსხვავებით, ვერ იღებდა მის მხარდაჭერას, ეს საკითხი

ცალკე კვლევის საგანია და შორსაა ჩვენი კვლევის პრობლემიდან.

საქართველოს სასულიერო კავშირები რუმინეთთან. იმავე პერიოდში (1708-1716 წ.წ.) ევროპაში, კერძოდ, რუმინეთში ვლახეთის მთავარეპისკოპოსის რანგში მოძღვრულ-მისიონერულ მოღვაწეობას ეწეოდა ანთიმოზ ივერიელი. მისი მოღვაწეობა მოიცავს ფართო სპექტრის საქმიანობებს - საეკლესიო სამართალშემომქმედი, ევროპული ენებიდან მთარგმნელი, სალიტერატურო ენის რეფორმატორი, ხუროთმოძღვარი, განათლების ორგანიზატორი და სხვა. ანთიმოზ ივერიელი იყო საქართველოსა და ევროპას შორის სულიერი ხიდის მშენებელი. მან დაგვანახა ევროპული ცივილიზაციის სულიერი განვითარების მოდელი და დაამტკიცა, რომ ერებს შორის დიალოგი და ინტეგრაცია შესაძლებელი და აუცილებელია [საქართველო და ევროპული... 2017].

გერმანელი კოლონისტები საქართველოში. აუცილებლად აღსანიშნავია საქართველოში მცხოვრები გერმანელების როლის გააზრება საქართველოში ევროპული ღირებულებების დამკვიდრებაში. XVIII საუკუნეში, კერძოდ, 1819 წლის ბოლოს, გერმანელების 6 კოლონია დაარსდა საქართველოში. მათ შორის ყველაზე დიდი იყო კატერინენფელდი (საბჭოური „ლუქსემბურგი), ანუ დღევანდელი ბოლნისი. ცხადია, აქ ჩამოსულ გერმანელ კოლონისტებს იმ პირობების ერთი პროცენტიც არ დახვდათ, რასაც მათ თავდაპირველად ეკატერინე II, ხოლო შემდეგ ალექსანდრე I დაჰპირდა. მაგრამ კოლონისტები თავიანთი ენერგიულობით და მოწესრიგებულობით მალევე კარგად მოეწყვნენ - აითვისეს მიწები, განავითარეს მევენახეობა, მეაბრეშუმეობა, ლუდის დაყენება, ეტლების დამზადება, ორ და სამ სართულიანი სახლების მშენებლობა და ა. შ. კოლონისტები თავიანთი შრომისმოყვარეობით, მიზანდასახულებით და დისციპლინით აღტაცებას იწვევდნენ ქართველებში.

გერმანელი კოლონისტები დიდ გავლენას ახდენდნენ საქართველოს, კერძოდ, კი, ქ. თბილისის სოციალურ და კულტურულ ცხოვრებაზე. მათ შორის იყვნენ მხატვრები, მოქანდაკეები, არქიტექტორები, მუსიკოსები, მწერლები, მასწავლებლები და სხვა პროფესიის ადამიანები. გერმანელების აშენებულია რუსთაველის თეატრი, ქაშუეთის ეკლესია, ალექსანდროვის ბაღი, ცისფერი გალერია, ოპერის ნაგებობა, საქართველოს ეროვნული მუზეუმი და სხვა. ყველა მათგანის ფასადებზე აღმოსავლური სტილი შერწყმული იყო ევროპულ სტილთან. გერმანელებმა (კერძოდ, ა. ლაისტმა) თარგმნა „ვეფხისტყაოსანი“, გამოიკვლიეს წიაღისეული საბადოები, გააშენეს თბილისის ბოტანიკური ბაღი, დაარსეს ეთნოგრაფიის მუზეუმი და სხვა. ისინი მასწავლებლობდნენ გიმნაზიებში, კონსერვატორიაში (32 მასწავლებლიდან 12 იყო გერმანელი) და სხვა მრავალი [ხუბაშვილი ლ. 2014].

ევროპასთან საქართველოს ადრეული კავშირების ამ მცირე მიმოხილვითაც აშკარად ჩანს საქართველოს დაინტერესება და მისწრაფება ევროპისკენ (და არა აზიისკენ). საქართველოს მეფეები და მთავრები (მაგალითად, სამეგრელოს მთავრის დავით დადიანის ოჯახის კავშირი საფრანგეთში მიურატების ოჯახთან და სხვა) ევროპაში ხედავდნენ თავიანთ ადგილს და დიდი სიამოვნებით მასპინძლობდნენ იქიდან მოსულ დროებით სტუმარსაც (დიუმა, ჟაკ ფრანსუა გამბა და სხვები) და ხანგრძლივად აქ საცხოვრებლად მოსულებსაც (გერმანელები, პოლონელები და სხვები).

საქართველოსა და ევროკავშირს შორის ახალი ურთიერთობები 90-იან წლებში დაიწყო, როდესაც საქართველო გამოვიდა საბჭოთა კავშირიდან და დამოუკიდებელი სახელმწიფო გახდა. ამ წლებში დაიწყო და დღესაც გრძელდება ევროპის დიდი თანად-გომა საქართველოსადმი სხვადასხვა პროგრამების და პროექტების

მეშვეობით. მისი მიზანი იყო დაემკვიდრებინა საქართველოში დემოკრატია და საბაზრო ეკონომიკა.

1995 წლიდან საქართველო სარგებლობს ევროკავშირის პრეფერენციების გენერალიზებული სისტემით (GSP). ეს ნიშნავს იმას, რომ საქართველოს კომპანიები ევროკავშირის ბაზარზე შედიან შემცირებული ტარიფებით.

1990 წლის 22 აპრილს ევროკავშირსა და საქართველოს შორის გაფორმდა პარტნიორობის და თანამშრომლობის შეთანხმება (PCA). ეს მოხდა ლუქსემბურგში. ამ საკითხზე მსჯელობა ამ ორ ქვეყანას ჯერ კიდევ 1994 წელს ჰქონდა, თუმცა, მისი გაფორმება 1996 წელს მოხდა, ამუშავება-ამოქმედება კი, კიდევ უფრო გვიან - 1999 წელს. ამ შეთანხმებით ორივე მხარემ აიღეს ვალდებულებები, რომ ორმხრივად იმუშავებენ პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური მიზნების მისაღწევად. აღნიშნული შეთანხმების მიზანი იყო საქართველოს და ევროკავშირის დაახლოება და ჰარმონიზაცია.

დასახელებული ხელშეკრულების მოქმედება თავდაპირველად 10 წლით განისაზღვრა, თუმცა, შემდეგ იგი ავტომატურად გაგრძელდა, მაგრამ, როგორც აღმოჩნდა ამ შეთანხმებამ თავისი როლი ვერ შეასრულა, რადგან მასში საქართველოში განსახორციელებელი რეფორმების დეტალური გეგმა და თარიღები არ იყო გაწერილი. როგორც აღმოჩნდა საქართველოს მაშინდელი მთავრობა არც თეორიულად და არც პრაქტიკულად არ იყო მზად ამ დავალების გასაგებად და შესასრულებლად. საქართველოში ეს პერიოდი იყო ქაოსის, შიდა ომის, ფინანსური გაჭირვების პერიოდი. ყოვლიევე ამის შედეგად, ამ შეთანხმების მიხედვით საქართველოს მიერ აღებული ბევრი ვალდებულება შეუსრულებელი დარჩა. გამოვყოფთ მათგან ერთ-ერთს, რომელიც ამ შეთანხმების 43-ე მუხლში არის ჩაწერილი და, რომელიც ითვალისწინებდა საქართველოს კანონმდებლობის დაახლოვებას ევროკავშირის კანონმდებლობის სტანდარტებთან. ამ ვალდებულების არ შესრულებით საქართველომ ევროპისგან კრიტიკა დაიმსახურა [საქართველო-ევროპის კავშირის ურთიერთობები. მასალა ვიკიპედიიდან].

უფრო მოგვიანებით, კერძოდ, 2006 წლის 14 ნოემბერს ქ. ბრიუსელში საქართველო-ევროკავშირის ერთობლივი საბჭოს შეხვედრაზე ხელი მოეწერა შეთანხმებას - „ევროპის სამეზობლო პოლიტიკა: სამოქმედო გეგმა ევროკავშირის-საქართველო. 2014 წელს ევროპის სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმას ევროკავშირის-საქართველოს ასოცირების შეთანხმების გეგმა ჩაენაცვლა. ამჟამად, ამ გეგმის 2021-2027 წლების განახლებული დღის წესრიგი ხორცილდება.

დასკვნა. სტატიაში წარმოდგენილი ლიტერატურული წყაროების განხილვით კეთდება დასკვნა იმის შესახებ, რომ საქართველოს და ევროპის ქვეყნებს შორის ყოველთვის იყო როგორც პოლიტიკური, ისე ეკონომიკური სიახლოვე და ასოცირების იმ შეთანხმებას, რომელიც 2014 წელს გაფორმდა და 2016 წელს ამუშავდა ევროკავშირის ქვეყნებსა და საქართველოს შორის ურთიერთობის მყარი საფუძველი აქვს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Le Golff J., The Birth of Europe, Blackwell Publishing, 2005.
2. Meier Chr, A culture of Freedom: Ancient Greece and the Origins of Europe. New-York. 2012.
3. ნადარეიშვილი ქ., ჭეიშვილი თ. ევროპული იდენტობა ანტიკურ კონტექსტში.

- მოხსენება საერთაშორისო კონფერენციაზე - ევროპული ღირებულებები და იდენტობა“. თსუ. თბ., 16-18 ივნისი. 2014. გვ. 106.
4. Wilterdiki N. An Examination and National Identity, European Journal of Sociology. 34. 1993. pp. 119-136.
 5. მუსხელიშვილი დ., სამსონაძე მ., დაუშვილი ა. საქართველოს ისტორია, თბ., 2012. გვ. 59.
 6. მეტრეველი რ. დავით აღმაშენებელი. თბ., 2018. გვ. 266.
 7. ნაცვლიშვილი პ. სულხან-საბა ორბელიანის მოგზაურობა ევროპაში და თანამედროვეობა. მოხსენება საერთაშორისო კონფერენციაზე - ევროპული ღირებულებები და იდენტობა. თსუ. 2014. 16-18 ივნისი. გვ. 147.
 8. მენაბდე ლ. ვახტანგ VI. თბ., 2011. გვ. 57.
 9. მაჭავარიანი მ. ერთტომეული. თბ., 1979. გვ. 20-21.
 10. საქართველო და ევროპული სამყარო - ფილოსოფიურ-კულტურული დიალოგი. ტ. 2. თსუ. თბ., 2017. გვ. 10.
 11. ხუბაშვილი ლ. გაზიარებული ისტორია: გერმანელების როლი საქართველოში ევროპული ღირებულებების დამკვიდრებაში, მოხსენება საერთაშორისო კონფერენციაზე - ევროპული ღირებულებები და იდენტობა. თსუ. თბ., 2014. 16-18 ივნისი. გვ. 198-209.
 12. საქართველო-ევროპის კავშირის ურთიერთობები. მასალა ვიკიპედიიდან.

რეზიუმე

სტატია - „ევროკავშირთან საქართველოს კავშირების ისტორია“ - ეძღვნება საქართველოს და ევროპის ქვეყნების ურთიერთობის პრაქტიკას წინარე საუკუნეებში. დახასიათებულია იგი სხვადასხვა წყაროებით. მათ რიცხვშია ქართველი მეცნიერებიც და უცხოელებიც.

სტატიაში აღწერილია ბერძენთა კოლონიზაციის ფაქტები შავი ზღვის აღმოსავლეთ ნაპირზე, ქართველთა მეფის - ფარსმან ქველის და იმპერატორ ანტონიუს პიუსის მეგობრობა, სულხან-საბა ორბელიანის ელჩობა საფრანგეთის მეფესთან, ანთიმოზ ივერიელის მოღვაწეობა რუმინეთში და სხვა.

HISTORY OF RELATIONS OF GEORGIA WITH THE EUROPEAN UNION

Shalva kereselidze

Associate Professor of Georgian Technical University

Nino Geliashvili

PhD Student at Technical University of Georgia

The article – “History of Relations of Georgia with the European Union” is devoted to the practice of relations of Georgia with European countries in previous centuries. It is characterized with different sources. Among them are Georgian scientists and foreigners.

The article describes the facts of Greek colonization on the eastern coast of the Black Sea, the friendship of the Georgian king Farsman Kveli and Emperor Anthony Pius, the embassy of Sulxhan-Saba Orbelian to the French king, the work of Antimoz Iveriel in Romania and others.

Keywords: European Union; Georgia; History of relationships

DEVELOPMENT OF MARITIME PASSENGER SERVICES IN THE BLACK SEA BASIN

Lasha Gadilia

Doctoral Student of Georgian Technical University

DOI:<https://doi.org/10.52340/gbsab.2024.51.07>

Keywords: maritime passenger transportation, international recreational area, ship role.

Introduction

The sustainable development of maritime passenger communications faces many problems; in this regard, the issues and directions for the development of maritime passenger communications in the Black Sea basin are very relevant.

Discussion

1. Transport potential of the Black Sea basin of Georgia in the field of maritime passenger transportation

The transport complex of Georgia has direct access to international sea routes. The prospect for the development of Georgia is the development of international maritime passenger traffic between the countries of the Black Sea basin, as well as between the resort towns of the Black Sea coast. It is here that the largest ports in Georgia are located: Batumi, Poti, Kulevi, and, in the future, the deep-water sea channel of Anaklia. The development of maritime passenger traffic can become a real factor in creating new jobs, the influx of investment, and the renewal of maritime transport. The regions of Adjara and Samegrelo have the richest potential opportunities to attract tourists and create a recreational area of international level. This is all the Georgian Black Sea coast. It is necessary to create all the conditions for private investors to come to the region and invest in the creation of maritime passenger services. Georgia, having the sea, rivers, and lakes, should not remain aloof from the development of sea tourism.

2. Regulatory documents governing the transportation of passengers

Transportation of passengers and baggage by sea is regulated by international and national legislation, among which are:

- IMO – International Maritime Organization;
- 1982 UN Convention – 1982 United Nations Convention on the Law of the Sea;
- Customs Code of the Customs Union (TC CU) (annex to the Agreement on the Customs Code of the Customs Union, adopted by the Decision of the Interstate Council of the Eurasian Economic Community of November 27, 2009 No. 17; with amendments and additions).

One of the international organizations dealing with maritime navigation issues is the international maritime organization IMO (International Maritime Organization), created in 1958 [6]. It develops international acts in the field of maritime transport, including those related to the safety of navigation and the protection of the marine environment from pollution. As a result of the activities of this organization, several conventions regulating international maritime transport were signed, among them:

- “International Convention for the Safety of Life at Sea” (1974);
- “International Convention for the Unification of Certain Rules for the Carriage of Baggage and Passengers by Sea” (1967);
- “International Convention for the Unification of Certain Rules Relating to the Carriage of

Passengers by Sea” (1981);

– “International Convention on Search and Rescue at Sea” (1979);

– “Convention on the Prevention of Marine Pollution by Dumping of Wastes and Other Materials” (1972), etc.

One of the important chapters of the KTM is the chapter on the contract for chartering a vessel for a time (time charter). The Georgian Merchant Shipping Code of 1999 No. 8 (as amended and supplemented) is of interest to travel agencies and other organizations using sea vessels for mass transportation for tourism and other purposes. Under a contract for chartering a vessel for a time (time charter), the shipowner undertakes, for a set fee (freight), to provide the charterer with the vessel and the services of the vessel’s crew members for use for a certain period for the transportation of passengers, cargo and other purposes of merchant shipping. When drawing up such an agreement, the following must be indicated: names of the parties; purpose of chartering; name of the vessel, its technical and operational data (carrying capacity, speed, etc.); navigation area; time and place of transfer and return of the vessel; freight cost; duration of the time charter.

Maintaining the vessel in good condition during the entire time charter period is the responsibility of the shipowner. The charterer is obliged to promptly pay the fee for using the vessel; usually, the fee is paid in advance for a certain period (half a month, a month). In cases of non-compliance with payment terms, the shipowner has the right to terminate the contract and recall the vessel.

Under a time charter agreement, the captain and other crew members must obey the orders of the shipowner relating to the management of the ship, its internal regulations, and the composition of the crew. Orders regarding the commercial operation of the vessel are given by the charterer. In this case, the charterer does not have the right to use the vessel for purposes not provided for by the agreement, or in a navigation area not provided for by the agreement.

3. Competitiveness of Georgian maritime passenger transport

Creating conditions that increase the competitiveness of domestic seaports and improving public management in the field of seaports is a strategy for the development of Georgia’s seaport infrastructure until 2030. For passenger transportation to be economically attractive, it is necessary to approach this problem with government support in the form of subsidies for private entrepreneurs to open passenger transportation.

Also, in our opinion, it is necessary to create conditions for the introduction of international cargo and passenger transportation, as this will increase the attractiveness of this type of activity. The decision of the Parliament of Georgia notes that Georgia, as a party to the Convention on Facilitation of International Maritime Traffic of 1965, has undertaken to take all appropriate measures to facilitate and expedite international maritime traffic and prevent unnecessary delays of ships. However, the by-laws and instructions of the Georgian state control bodies do not comply with the International Convention to Facilitate International Maritime Traffic (FAL-65 Convention) in terms of limiting the list of documents required for processing ship calls.

Currently, the main document required by government authorities and containing data on the number and composition of the crew upon arrival and departure of a ship is the ship’s role. The ship’s role by Form 5 FAL IMO Addendum 1 to the Convention is presented by the captain of the ship upon the ship’s arrival at the seaport bottom the port, it is allowed to present the ship’s role presented upon the ship’s arrival at the port, unless changes are made in the composition of the ship’s crew [5].

4. Unified logistics center for collection and issuance of documentation

In our opinion, all these procedures could be simplified by creating a new body, the “Unified Logistics Center for the Collection and Issuance of Documentation.” To this center, the maritime agent would provide in advance all the necessary documents for the opening of new maritime passenger transportation for the control services of seaports and also various third-party organizations related to logistics procedures. Subsequently, all received documentation from the center was automatically forwarded to the place of requirement. All document management operations can be carried out via the Internet.

Maintaining the vessel in good condition throughout the entire time charter period is the responsibility of the shipowner; creating conditions that increase the competitiveness of domestic seaports is a strategy for the development of seaport infrastructure.

All control services must work with the data from the “Unified Logistics Center for the Collection and Issuance of Documentation”. To do this, it is necessary to create a unified network for the interchange of all necessary documentation. It should be noted that control services, as a rule, request all documents endorsed by the seals of organizations and the signatures of managers.

As a rule, it may take a long time to complete all these procedures. To simplify and save time, it is necessary to introduce the practice of certifying all documents with electronic signatures, seals of heads of organizations, and captains of sea vessels.

The creation of a “Unified Logistics Center for the Collection and Issuance of Documentation” would facilitate the timely exchange of necessary documentation between shipowners, seaport control services, and similar organizations of other states. The introduction of such a scheme would simplify the exchange of information and take a minimum amount of time.

It is also worth highlighting the problem associated with the technical condition and equipment of seaports. Let’s consider it using the example of the port in Poti. Thus, at present, in the port of Poti, there are no berths equipped to receive cargo-passenger sea vessels. As a rule, there are temporary schemes for implementing border and customs control of sea cargo and passenger ships arriving in Georgia from abroad. Unfortunately, cargo berths are currently in use. The cost of removing a vessel from one berth (cargo) to another (passenger - Batumi), specially equipped to receive passengers arriving by sea from abroad, is quite a large amount. In this regard, it is not economically profitable for shipowners to carry passengers, which requires increased attention from the state and private investors to solve the problem of restoration and construction of passenger berths.

Conclusion

The measures we propose will contribute to:

- 1) Reduction of unproductive delays and downtime of vessels in the seaports of Georgia due to the simplification of rudimentary administrative procedures;
- 2) Accelerating the movement of passenger flows through Georgian ports;
- 3) Increasing the attractiveness of the Georgian sections of multimodal transport corridors and the efficiency of the work of state control bodies at sea checkpoints;
- 4) Opening of new maritime passenger and cargo-passenger transportation; inflow of investment and creation of new jobs.

References:

1. Alan Greenspan. “International Financial Risk Management”, remarks before the Council on Foreign Relations, 2012.
2. Barton, Thomas and William G. Shenkir. Making Enterprise Risk Management Pay Off. Financial Times Prentice Hall, 2022.

3. Borge, Dan. The Book of Risk. John Wiley & Sons, 2021. «Budgeting for Risk», ERisk.com, March 2002.
4. Frankel, Marc T, «Strategy, Risk, and the Way Forward», The CEO Refresher, 2022. FRBSF Economic Letter, No. 2; 2022.
5. Guthrie, Vernon H.; David A. Walker; and Bert N. Macesker, «Enterprise Risk Management», 17th International System Safety Conference, 2022.
6. Herts D.B., Thomas H. Evaluating the Risk in Acquisition. LRP, vol.15, 2022.
7. Hillson, David, «Know Your Business Risk, « Strategic Risk, www.strategicrisk. co.uk, April 2013.
8. Johnstone-Bryen I.M. Managing Risk: How to work successfully with risk. London, 2016.
9. Markowitz H.M. Portfolio selection. Efficient diversification of investments. Oxford, New York: Blackwell, 2021.
10. Meitzer S. Limits on a company's ability to manage risk // Risk management (USA). 2017. V. 44. N 1 (Jan).
11. Risk Management: Practical Techniques to Minimise Exposure to Accidental Losses. 2nd ed. / Jardine Insurance Brokers Ltd. London, 2017.
12. Sharpe W.F. Investor Wealth Measures and Expected Return/Quantifying the Market Risk Premium Phenomenon for Investment Decision Making/Ed. Sparpe W.F. Charlottesville, Virginia: The Institute of Chartered Financial Analysts, 2020.
13. Todd W.L. An integrated approach to risk management // Risk management (USA). 2016. V. 43. N7.
14. Toevs, Alden L. “Negotiating the Risk Mosaic” presentation by the Risk Management Association, Annual Conference on Capital Management, April 9, 2013.360
15. Williams C. A. Jr., Heins R.M. Risk Management and Insurance. New York, 2015.

Development of Maritime Passenger Services in the Black Sea Basin

Abstract

The article discusses the problems and directions of the development of sea passenger communications in the Black Sea basin. To improve their quality and efficiency, it is proposed to create a new body - a single logistics center for the collection and issuance of documentation, which will speed up the processing of passenger traffic through the ports of Georgia and increase the competitiveness of the sections. multimodal transport corridor of Georgia. The article mentions that all procedures can be simplified by creating a new body - the “Unified Logistics Center for the Collection and Issuance of Documentation.” To this center, the forwarder will provide in advance all the necessary documents for the opening of a new sea passenger transportation to various third-party organizations related to sea port control services and logistics procedures. In the future, all documents received from the center will be automatically sent to the place of request. All document management operations can be carried out via the Internet. According to the author, all regulatory services should work with data from the “Unified Logistics Center for the Collection and Issuance of Documentation.” To do this, it is necessary to create a unified network of exchange and free access to all necessary documents. The author notes that control services, as a rule, require that all documents be certified by the seals of organizations and the signatures of managers. As a rule, performing all these procedures takes a lot of time. Therefore, according to the author, to simplify the procedure and save time, it is necessary to introduce the practice of certifying all documents with an electronic signature and the seal of heads of organizations and

captains of sea vessels. The creation of a “Unified Logistics Center for the Collection and Issuance of Documentation” will facilitate the timely exchange of necessary documentation between shipowners, seaport control services, and similar organizations of other states. The introduction of such an institution will simplify the exchange of information and minimize the time required for document flow.

Keywords: maritime passenger transportation, international recreational area, ship role.

შავი ზღვის აუზში საზღვაო სამგზავრო მომსახურების განვითარება აბსტრაქტი

ლაშა გადილია
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

სტატიაში განხილულია შავი ზღვის აუზში საზღვაო სამგზავრო კომუნიკაციების განვითარების პრობლემები და მიმართულებები. მათი ხარისხისა და ეფექტურობის გაუმჯობესების მიზნით, შემოთავაზებულია შეიქმნას ახალი ორგანო - ერთიანი ლოგისტიკური ცენტრი დოკუმენტაციის შეგროვებისა და გაცემისათვის, რომელიც დააჩქარებს საქართველოს პორტების გავლით სამგზავრო ნაკადების დამუშავებას და გაზრდის საქართველოს მულტიმოდალური სატრანსპორტო დერეფნის სექციების კონკურენტუნარიანობას. სტატიაში აღნიშნულია, რომ ყველა პროცედურის გამარტივება შესაძლებელია ახალი ორგანოს, „დოკუმენტაციის შეგროვებისა და გაცემის ერთიანი ლოგისტიკური ცენტრის“ შექმნით. ამ ცენტრს საზღვაო აგენტი წინასწარმიაწვდის ყველა საჭირო დოკუმენტს ახალი საზღვაო სამგზავრო გადაზიდვის გასახსნელად საზღვაო ნავსადგურების კონტროლის სერვისებსა და ლოჯისტიკურ პროცედურებთან დაკავშირებულ სხვადასხვა მესამე მხარის ორგანიზაციებს. შემდგომში ცენტრიდან მიღებული ყველა დოკუმენტაცია ავტომატურად გადაიგზავნება მოთხოვნის ადგილზე. დოკუმენტების მართვის ყველა ოპერაცია შეიძლება განხორციელდეს ინტერნეტის საშუალებით. ავტორის მოსაზრებით, ყველა მაკონტროლებელმა სამსახურმა უნდა იმუშაოს „დოკუმენტაციის შეგროვებისა და გაცემის ერთიანი ლოგისტიკური ცენტრის“ მონაცემებით. ამისათვის აუცილებელია ერთიანი ქსელის შექმნა ყველა საჭირო დოკუმენტაციის გაცვლისა და თავისუფალი წვდომისათვის. ავტორი აღნიშნავს, რომ კონტროლის სამსახურები, როგორც წესი, ითხოვენ ყველა დოკუმენტს, რომელიც დამოწმებულია ორგანიზაციების ბეჭდებითა და მენეჯერების ხელმოწერებით. როგორც წესი, ყველა ამ პროცედურის დასრულებას დიდი დრო სჭირდება. ამრიგად, ავტორის აზრით, პროცედურის გამარტივებისა და დროის დაზოგვის მიზნით, აუცილებელია დაინერგოს ყველა დოკუმენტის ელექტრონული ხელმოწერით, ორგანიზაციების ხელმძღვანელებისა და საზღვაო გემების კაპიტნების ბეჭდით დამოწმების პრაქტიკა. „დოკუმენტაციის შეგროვებისა და გაცემის ერთიანი ლოგისტიკური ცენტრის“ შექმნა ხელს შეუწყობს საჭირო დოკუმენტაციის დროულ გაცვლას გემთმფლობელებს, საზღვაო ნავსადგურის კონტროლის სამსახურებსა და სხვა სახელმწიფოების მსგავს ორგანიზაციებს შორის. ასეთი ინსტიტუტის დანერგვა გაამარტივებს ინფორმაციის გაცვლას და მოახდენს დოკუმენტბრუნვაზე გათვალისწინებული დროის მინიმიზაციას.

საკვანძო სიტყვები: საზღვაო სამგზავრო გადაყვანა, საერთაშორისო რეკრეაციული ზონა, გემის როლი.

რელიგიური კონფლიქტების გაშუქების პრობლემა ქართულ მედიაში

გიორგი აბაზაძე -

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის მასობრივი კომუნიკაციის
დოქტორანტი

DOI: <https://doi.org/10.52340/gbsab.2024.51.03>

საკვანძო სიტყვები: რელიგია, მედია, კონფლიქტები, კომისია, მანდატი, შენობა, რეგიონი, მოხი.

ჩვენი საკვლევი სფეროა, ქართულ მედიაში რელიგიური კონფლიქტების გაშუქების პროცესები ადიგენის რაიონის სოფელ მოხში განვითარებული პროცესების ფონზე.

იმისათვის, რომ ჩვენი კვლევა სიღრმისეული და საინტერესო ყოფილიყო, გამოვიყენეთ თვისებრივი კვლევის - ისტორიული და კომპარატიული მიდგომა, რამაც საშუალება მოგვცა, გაგვეკეთებინა ლოგიკური და ობიექტური შეფასებები.

ჩვენი მიზანია, შევისწავლოთ რელიგიური კრიზისების გაშუქების პროცესი ქართულ მედიაში და საზოგადოებაზე მედიის გავლენები.

ჩვენ მიერ შესწავლილი მასალების ფონზე მივედით იმ შედეგამდე, რომ მედია საშუალებები დიდ გავლენას ახდენს რელიგიური კონფლიქტების მიმდინარეობის პროცესებზე; თუმცა კვლევამ აჩვენა ისიც, რომ მედია ლანდშაფტი ყოველთვის არ არის დაცული მიკერძოებისგან.

შესწავლილი მასალების ფონზე მივედით იმ დასკვნამდე, რომ რელიგიური პრობლემების გაშუქება ქართული მედიისთვის პრინციპულად მნიშვნელოვანი პრობლემაა და მეტ მხარდაჭერას საჭიროებს.

გლობალურ საინფორმაციო საზოგადოებაში რელიგიის თანამედროვე ფორმების თავისებურებების კვლევამ გვაჩვენა, რომ რელიგიამ და რელიგიურობამ დღეს არათუ დაკარგა აქტუალობა, არამედ, პირიქით, ხელახლა დაიბადა და ახალი შესაძლებლობების, გამოწვევების წინაშეა.

გამოხატვის თავისუფლება არის ადამიანის ფუნდამენტური უფლება, რომელიც წარმოადგენს დემოკრატიული საზოგადოებების ქვაკუთხედს და საშუალებას აძლევს ადამიანებს, გამოხატონ თავიანთი აზრები, იდეები და რწმენა ცენზურის ან რეპრესიების შიშის გარეშე. იმის მიუხედავად, რომ ეს უფლება გადამწყვეტია ღია დიალოგისა და ჰარმონიული საზოგადოების ჩამოსაყალიბებლად, ის სულ უფრო რთული და კომპლექსური ხდება რელიგიურ მრწამსთან ერთად. რელიგიური კონფლიქტი, რომელიც ხშირად წარმოიქმნება გამოხატვის თავისუფლებასა და წმინდა რელიგიურ პრინციპებს შორის შეტაკების შედეგად, მნიშვნელოვან გამოწვევას უქმნის საზოგადოებას; ადამიანებს, რომლებიც ცდილობენ, დაამყარონ დელიკატური ბალანსი ინდივიდუალურ თავისუფლებასა და რელიგიურ სენსიტიურობას შორის.

თემა ქართული რეალობისთვისაც უდავოდ აქტუალურია, რადგან საქართველო რელიგიური მრავალფეროვნებით გამოირჩევა.

2014 წელს ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ მოხში რელიგიური ნაგებობის გამო შეიქმნა კონფლიქტი ქრისტიანსა და მუსლიმ თემებს შორის.

მოცემული კონფლიქტი მომდინარეობს სტრუქტურის ბუნებისა და დანიშნულების შესახებ განსხვავებული ისტორიული პერსპექტივიდან, რაც იწვევს

დამაბულობასა და უთანხმოებას (ჟურნალი „ლიბერალი“, 2018).

სოფელ მოხში არსებული შენობა რელიგიური მრავალფეროვნების ერთგვარ სიმბოლოა. თუმცა, მისი გაურკვეველი სტატუსი იქცა ქრისტიანულ და მუსლიმანურ თემებს შორის მტრობის კატალიზატორად. შენობის ისტორიის ირგვლივ არსებული ურთიერთგამომრიცხავი ნარატივები ამდაფრებს დამაბულობას; მუსლიმები ამტკიცებენ, რომ ის ისტორიულად მეჩეთია; ქრისტიანები ამტკიცებენ, რომ შენობა, რომელიც აგებულია ეკლესიის ქვებით, ქრისტიანული არქიტექტურული მემკვიდრეობის მნიშვნელოვანი მასალაა.

დამაბულობის კვალდაკვალ მთავრობამ 2014 წელს შექმნა სპეციალური კომისია, რომელსაც დაევალა შენობის პრობლემის შესწავლა. დაპირისპირების მოგვარებისა და სამართლიანი გადაწყვეტილების მიღების მიზნით, კომისიამ ჩაატარა ყოვლისმომცველი ორწლიანი გამოძიება. კომისიის მანდატი ნათელი იყო: გამოეკვლია მოხის ნაგებობის ისტორიული წარმომავლობა და ამ გზით დაესრულებინა კონფლიქტი.

ორწლიანი მუშაობის შემდეგ კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ შენობა არ დაეთმო არც ქრისტიანული და არც მუსლიმანური თემისათვის. საბოლოო გადაწყვეტილებით, შენობა-ნაგებობა დარჩა სამართლებრივ და რელიგიურ გაურკვეველობაში (ჟურნალი „ლიბერალი“, 2018).

მოხის დაპირისპირების შესახებ 2018 წელს ჟურნალმა „ლიბერალმა“ მოამზადა ვიდეო-სიუჟეტი „თოვლში მოყოლილი მოხის ამბავი“. მისი ავტორია დათო ფარულავა.

სიუჟეტი 24:58 წამი გრძელდება; 1:00 წუთზე რეპორტაჟში საუბრობს სოფლის ერთ-ერთი მცხოვრები - თამაზ ბერიძე: „აქ არ იგრძნობოდა, ვინ მართლმადიდებელი იყო და ვინ - მუსლიმი; აქ იყო მხოლოდ ადამიანურ ურთიერთობებზე აგებული სიტუაცია. ახლა ხდება მუსლიმი თემის მარგინალიზაცია სახელმწიფოს მხრიდან; ჩემი მართლმადიდებელი მეგობრებიც ფეხის ხმას აჰყვენენ“ (ჟურნალი „ლიბერალი“, 2018).

ვიდეო-რეპორტაჟიდან ვიგებთ, რომ სოფელ მოხის იმამი - თემგის ბერიძე პარასკევის ღამეს ე.წ. სადავო ნაგებობის წინ აღავლენდა, რადგან სადავო შენობაში შესვლა მუსლიმ თემს სასტიკად აუკრძალა მართლმადიდებელმა მოსახლეობამ. იმამი ყვება, რომ „მუსლიმთა სამმართველომ“ გაათავისუფლა და ხელფასი შეუწყვიტა მას შემდეგ, რაც ახალ მეჩეთში გადასვლის მოთხოვნას არ დაემორჩილა.

ვიდეო-რეპორტაჟში 16:07 წუთზე საუბრობს მეთორმეტე კლასელი თეონა ბერიძე; გოგონა აღნიშნავს, რომ ქრისტიანმა დირექტორმა მას სკოლაში თავსაფრის ტარება აუკრძალა.

მოხის ნაგებობის ირგვლივ განვითარებული მოვლენები აისახა სოფელ მოხის სასკოლო გარემოზეც.

რეპორტაჟი გაშუქებულია მხოლოდ მუსლიმური თემის გადმოსახედიდან. ვიდეო-რეპორტაჟის მიხედვით, ქრისტიანი თემი ავიწროებს მუსლიმ თემს.

2014 წელს, სოფელ მოხში მწვავე დაპირისპირება - სიტყვიერი და ფიზიკური შელაპარაკება მოხდა ქრისტიანსა და მუსლიმ მოსახლეებს შორის.

იმავე საღამოს „პირველი არხის“ ეთერში 20:02 წუთზე გავიდა სიუჟეტი - „ინციდენტი სოფელ მოხში“. სიუჟეტიდან ირკვევა, რომ ინციდენტის გამო დააკავეს 14 ადამიანი; კადრში ისმის მოსახლეობის კომენტარები: „მოლაპარაკება არ არის! ხმის გაღება არ არის და პირდაპირ ცემა-ტყეპით დაიწყეს“. 20:04 წუთზე სიუჟეტში ვხედავთ დაპირისპირებული მხარეების სიტყვიერ შელაპარაკებას კონფლიქტის დროს.

რეპორტიორი მაყურებელს აწვდის დეტალურ ინფორმაციას იმის შესახებ, რომ სოფელ მოხის ადგილობრივი მუსლიმების გაღიზიანება გამოიწვია სადავო შენობა-ნაგებობაზე განთავსებულმა ბანერმა, რომლის მიხედვითაც აღნიშნული შენობა-ნაგებობა სახელმწიფოს საკუთრებაა და იქ ტარდება სოფ. მოხის ბიბლიოთეკის სარეაბილიტაციო სამუშაოები („პირველი არხი“, 2014).

20:05 წუთზე რეპორტიორს ინტერვიუს აძლევს სამცხე-ჯავახეთის გუბერნატორი, რომელიც აღნიშნავს, რომ მოსახლეობასთან 4 საათიანი მოლაპარაკებების შემდეგ სარესტავრაციო სამუშაოები გაგრძელდება.

რეპორტაჟში იგრძნობა მოსახლეობის უკმაყოფილება მთავრობისადმი. მართლმადიდებელი თემი იმედოვნებს, რომ სადავო შენობა-ნაგებობის გადაცემა არ მოხდება მუსლიმი თემისათვის.

უნდა აღინიშნოს, რომ „პირველი არხის“ ეთერში მაყურებელმა შეძლო, ვრცლად მოესმინა კონფლიქტის წარმოშობისა და გამწვავების მიზეზები. ობიექტურად არის გადმოცემული როგორც მუსლიმი, ასევე მართლმადიდებელი მოსახლეობის პოზიცია; არც ტელეწამყვანი და არც რეპორტიორი მიკერძოებული არ არის.

„სსიპ რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო“ სოფელ მოხში განვითარებულ მოვლენებს იმავე საღამოს, ანუ 2014 წლის 22 ნოემბერს გამოეხმაურა სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე -

„განცხადება ადიგენის რაიონის სოფელ მოხში დღეს განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით“. განცხადებაში აღნიშნულია, რომ რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო წუხს ადიგენის რაიონის სოფელ მოხში განვითარებული მოვლენების გამო; რელიგიის საკითხთა სააგენტო მიიჩნევს, რომ წარმოქმნილი კონფლიქტი ქრისტიანულ და მუსლიმ თემს შორის, გაურკვეველი წარმოშობის შენობა-ნაგებობის საფუძველზე, უნდა გადაიჭრას ყველა შესაბამისი მხარის ჩართულობით. სააგენტო მოუწოდებს საზოგადოებას სიმშვიდისა და კეთილგონიერებისაკენ, რათა პროცესის ესკალაციამ არ დააზიანოს სახელმწიფო ინტერესები (სსიპ რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო, 2014).

„ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ინსტიტუტმა“ გამოაქვეყნა სტატია - „სოფელ მოხში განვითარებული მოვლენების ანალიზი“; სტატიაში შესწავლილია მოვლენების განვითარების პროცესები და შეფასებულია მოსალოდნელი საფრთხეები. (ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ინსტიტუტი, 2014).

შესავალში ნაჩვენებია დაპირისპირება ადგილობრივ მუსლიმებსა და სამართალდამცავებს შორის იმ სადავო შენობის დემონტაჟთან დაკავშირებით, რომელიც, მუსლიმი თემის რწმენით, ოდესღაც მეჩეთი იყო. ფონური ინფორმაცია ქმნის საფუძველს შემდგომი დეტალური ანალიზისთვის.

სტატიაში აღწერილია ისტორიული კონტექსტი და ფაქტობრივი გარემოებები; ავტორი, ადგილობრივი უხუცესების ნაამბობზე დაყრდნობით, გვიამბობს, როგორ გადაკეთდა საბჭოთა პერიოდში შენობა კლუბად; როგორ ცდილობდნენ მუსლიმები შენობის შენარჩუნებასა და მის აღდგენას; გვაჩვენებს ხელისუფლების მხრიდან კონკრეტული რეაგირების ნაკლებობას (ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ინსტიტუტი, 2014). სტატიაში დეტალურადაა მეჩეთის დემონტაჟის პროცესი და სამართალდამცავების მიერ ძალის გამოყენება.

ავტორი უყურადღებოდ არ ტოვებს კონფლიქტის დროს დაკავებულ იმ მუსლიმ მოქალაქეებს, რომლებიც საუბრობენ სამართალდამცავების მხრიდან არასათანადო მოპყრობაზე.

სტატიაში ნაჩვენებია ადგილობრივი და ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენლების, რელიგიის საკითხთა სააგენტოსა და საქართველოს

საპატრიარქოს პოზიციებიც.

ავტორი ხაზს უსვამს წინააღმდეგობრივ პრეტენზიებსა და განსხვავებულ პერსპექტივებს.

სოფლის ქრისტიანული თემის წარმომადგენელი - ბეჟან რეხვიაშვილი ხაზგასმით აღნიშნავს: „წინააღმდეგი ვარ, რომ მეჩეთი აშენდეს; ქართული მიწა-წყალია! ქრისტიანი ვარ და არ უნდა ვიყო წინააღმდეგი? ხომ აქვთ მეჩეთი? ერთი, ორი... რად უნდათ კიდევ?“. კიდევ უფრო კატეგორიულია სოფლის მკვიდრის - ტარიელ ხარშილაძის პოზიცია; მისი აზრით, მეჩეთის აშენებით მუსლიმი ქრისტიანს „აგდებს გარეთ, და თვითონ შემოდის ჩემს ოჯახში.“ (ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ინსტიტუტი, 2014).

სტატია სრულდება ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ინსტიტუტის ანალიზზე დაფუძნებული რეკომენდაციებით - სავარაუდო ძალის გამოყენების სამართლიანი შეფასება; მუსლიმთა დევნის საქმეების ხელახალი გადაფასება; რელიგიურ საკუთრებასთან დაკავშირებული რესტიტუციის საკითხების შესასწავლად სამთავრობო კომისიის შექმნა.

ავტორი დეტალურად განიხილავს ხელისუფლების წარმომადგენლების საჯარო განცხადებებს და გვთავაზობს მათ ანალიზს; ნაჩვენებია მთავრობის შიგნით არსებული საპირისპირო შეხედულებები; პრემიერ-მინისტრი ამ საკითხს არ შეხებია და პასუხისმგებლობას ანიჭებს მუსლიმთა თემს; ხოლო სახელმწიფო მინისტრი შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში მხარს უჭერს გუბერნატორის გადაწყვეტილებას, სადავო შენობაში კულტურული ცენტრის დაარსებასთან დაკავშირებით; ის აღნიშნავს, რომ მათ „ინტერესებს ლეგიტიმური საფუძველი არ გააჩნია“ (ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ინსტიტუტი, 2014).

სტატიაში მხარეთა პოზიციები მეტ-ნაკლებად დაბალანსებულია; ნაჩვენებია როგორც მუსლიმთა, ასევე ქრისტიანთა შეხედულებები. თუმცა, ზოგადი განწყობითა და ტონით ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ინსტიტუტი მაინც იხრება მუსლიმი თემის მხარდაჭერისკენ. მართლმადიდებლური საზოგადოების განწყობა კი ნაწილობრივად მხოლოდ და მხოლოდ შესწავლილი და წარმოდგენილი.

მოხის პრობლემებს ინტერნეტ ჟურნალი „Netgazeti.ge“ 2021 წლის 13 მაისს - ანუ 7 წლის შემდეგ შეეხმიანა სტატიით: „კონფლიქტიდან 7 წლის შემდეგ: „მოხის ისტორიული მეჩეთი კვლავ გაპარტახებულია“ (Netgazeti.ge, 2021).

სტატიაში შესწავლილია ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ მოხის წარმომავლობის ისტორია. აღნიშნულია, რომ სოფელში მოსახლეობის უმრავლესობა მუსლიმია; ზოგადი ისტორიული კონტექსტიდან ავტორი გადადის 2014 წლის კონფლიქტსა და რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს მოთხოვნით შექმნილი კომისიის დასკვნაზე;

კომისიის მიერ 2016 წლის 3 ნოემბერს გამოცხადებული დასკვნის საფუძველზე შენობა არ დაეთმო არც მუსლიმურ და არც ქრისტიანულ მრევლს. კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს კი დაევალა შენობის სამომავლო გამოყენების კონცეფციის შემუშავება (Netgazeti.ge, 2021).

ავტორი მიიჩნევს, რომ კონცეფცია 2021 წლისთვისაც არ იყო შემუშავებული.

წერილში ხაზგასმულია, რომ მუსლიმი სასულიერო პირები და უფლებადამცველები აკრიტიკებენ სახელმწიფოს პოლიტიკას და გულგრილობაში ადანაშაულებენ;

საკითხში უკეთ გარკვევისათვის ავტორი ეყრდნობა სპეციალისტებისა და ექსპერტების შეხედულებებს; „სოციალური სამართლიანობის ცენტრის“

თანასწორობის პოლიტიკის პროგრამის დირექტორის - თამთა მიქელაძის აზრით: „სახელმწიფოს არ აღმოაჩნდა მისი განვითარების იმგვარი ხედვა, რომელიც, ერთი მხრივ, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ინტერესებს უპასუხებდა და, ამავდროულად, ამ ძეგლის მომავალს მინიმუმ მულტიკულტურული რელიგიათაშორისი დიალოგის და მრავალფეროვნების წახალისების სივრცედ აქცევდა“. მიქელაძე აკრიტიკებს ხელისუფლების მიერ სიტუაციის მართვას და ხაზს უსვამს, რომ ძველი მეჩეთის მოუგვარებელმა პრობლემებმა კონფლიქტი გააღრმავა.

„თუკი კონცეფცია ასეთი იქნებოდა, შესაძლოა, ძალიან საინტერესო გზა ყოფილიყო პრობლემის მოგვარების, კონფლიქტის გადაჭრისთვის. თუმცა ეს, რა თქმა უნდა, მუსლიმი თემის და მუსლიმი ორგანიზაციების რეალური ნება და არჩევანი უნდა ყოფილიყო, იმიტომ, რომ მათ აქვთ უფლება, ისტორიული ძეგლები დაიბრუნონ“ (Netgazeti.ge, 2021).

თამთა მიქელაძის აზრით, ხელისუფლების ხედვის ნაკლებობამ კონფლიქტი გაართულა და ძეგლი ვერ გადაიქცა მულტიკულტურული რელიგიათაშორისი დიალოგის სივრცედ. შემოთავაზებული გამოსავალი გულისხმობს იმ საერთო კულტურული სივრცის შექმნას, რომელიც მოიცავს როგორც ისლამურ, ისე ქრისტიანულ მემკვიდრეობას, მრავალფეროვნების ხელშეწყობას გამოფენებისა და საერთო ღონისძიებების საშუალებით (Netgazeti.ge, 2021).

„Netgazeti.ge“ ნათელს ჰფენს მოხის რელიგიურ კონფლიქტს და გვთავაზობს ისტორიული, კულტურული და სამართლებრივი პროცესების დეტალურ შესწავლას. სტატია მოუწოდებს მკითხველს, დაფიქრდეს სახელმწიფოს როლზე კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნების პროცესში, რელიგიათაშორისი დიალოგის ხელშეწყობაში, თითოეული მოქალაქისთვის რელიგიური თავისუფლების უზრუნველყოფაში.

წერილში მოხის პრობლემები დაბალანსებულად და მიუკერძოებლადაა ასახული;

შესწავლილია საკითხის ისტორიული კონტექსტი, რაც მკითხველს საშუალებას აძლევს, უფრო მეტი გაიგოს მოვლენათა შესახებ (Netgazeti.ge, 2021).

ავტორი გვაჩვენებს მუსლიმური თემის პოზიციას; გვთავაზობს მუსლიმი სასულიერო პირების, უფლებადამცველებისა და „საქართველოს მუსლიმთა კავშირის“ თავმჯდომარის - იმამ ჯამბულ აბულაძის განცხადებებს - „მხოლოდ მოხის მეჩეთზე არ არის საუბარი. სამცხე-ჯავახეთში უამრავი ისტორიული მეჩეთია, რომლებიც გადაცემულია სახელმწიფოსთვის, რომელიც არაფერს აკეთებს მათ შესანარჩუნებლად“.

Netgazeti.ge-მ ეფექტურად გააშუქა მუსლიმთა პერსპექტივა და ნათელი მოჰფინა მათ პოზიციას სადავო შენობის კონსერვაციისა და აღდგენის ირგვლივ (Netgazeti.ge, 2021).

სტატიაში გაანალიზებულია მართლმადიდებელი მოსახლეობისა და საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის პოზიცია, რომელსაც ამყარებს მეუფე თეოდორეს განცხადება; საკითხის გადაჭრის პროცესში საპატრიარქოს ჩართულობა მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც ის წარმოადგენს დავაში ჩართული მართლმადიდებელი საზოგადოების თვალსაზრისს (Netgazeti.ge, 2021).

სტატია წარმოადგენს მოხის პრობლემის ობიექტურად გაანალიზების მცდელობას როგორც მუსლიმი, ისე მართლმადიდებელი თემის თვალსაწიერიდან. ექსპერტთა მოსაზრებებისა და სამართლებრივი ასპექტების ჩართულობა კიდევ უფრო ამტკიცებს

ნარატივს (Netgazeti.ge, 2021).

დასკვნის სახით შეგვიძლია, ვთქვათ, რომ პრობლემის მოგვარების უმთავრესი გზა დამოუკიდებელ მედიაზე გადის; მედიის პოლიტიკური თავისუფლება დემოკრატიული საზოგადოების ქვაკუთხედი. დამოუკიდებლობა გადამწყვეტია მედიის სანდოობისა და საზოგადოების ნდობის შესანარჩუნებლად. რელიგიური კონფლიქტების გაშუქებისას პოლიტიკური თავისუფლება საშუალებას აძლევს მედიას, ობიექტურად წარმოაჩინოს ფაქტები - პოლიტიკური დღის წესრიგისა და მიკერძოების გარეშე. დამოუკიდებელი მედია უნდა იყოს ინფორმაციის სანდო წყარო საზოგადოებისთვის, რითაც ხელს შეუწყობს ინფორმირებულ დისკუსიებსა და დებატებს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ჟურნალი „ლიბერალი“, 2014, თოვლში მოყოლილი მოხის ამბავი. <https://shorturl.at/krCGU>;
2. სსიპ რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო, 2014, „განცხადება ადიგენის რაიონის სოფელ მოხეში დღეს განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით“. <https://shorturl.at/dnsDH>;
3. „ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ინსტიტუტი“, 2014, „სოფელ მოხში განვითარებული მოვლენების ანალიზი“; <https://shorturl.at/EGILX>;
4. „Netgazeti.ge“, 2021, კონფლიქტიდან 7 წლის შემდეგ: „მოხის ისტორიული მეჩეთი კვლავ გაპარტახებულია“; <https://shorturl.at/vwyCH>;
5. კონფლიქტების გაშუქება ქართულ მედიაში; https://mdfgeorgia.ge/uploads//Konfliktetbis_gashukeba_qartul_mediashi.pdf.
6. Hoover S.M. Religion in the Media Age. London: Routledge, 2006;
7. Internet i Kościół / Ed. J. Kloch; Elipsa, 2011;

რეზიუმე

რელიგიური კონფლიქტების გაშუქება თანამედროვე ქართული მედიისთვის ურთულესი გამოწვევაა. ქართული მედიასაშუალებები მეტ-ნაკლებად ნეიტრალურნი არიან რელიგიური თემების გაშუქებისას; თუმცა, არის შემთხვევები, როცა ჟურნალისტები კონტექსტიდან დამახინჯებულად აშუქებენ სიტუაციებს, რაც იწვევს პრობლემების გამწვავებას და აღიზიანებს დაპირისპირებულ მხარეებს. არადა, მედია გადამწყვეტ როლს ასრულებს რელიგიური კონფლიქტების შესახებ საზოგადოების აღქმის ჩამოყალიბებაში. ამიტომ აუცილებელია, მედია მიუკერძოებელი და სამართლიანი იყოს.

ნაშრომში შესწავლილია ადიგენის რაიონის სოფელ მოხში განვითარებული კონფლიქტები და შესწავლილია ამ პრობლემის ირგვლივ მედიაში გაშუქებული მასალები.

კვლევამ აჩვენა, რომ ქართველი ჟურნალისტები ცდილობენ, დაიცვან ეთიკისა და სამართლიანობის ნორმები, მაგრამ გადაცდომებიც ხშირად გვხვდება.

THE PROBLEM OF COVERAGE OF RELIGIOUS CONFLICTS IN THE GEORGIAN MEDIA

SUMMARY

Resume The coverage of religious conflicts is the most difficult challenge for modern media. Georgian media are more or less neutral when covering religious topics. However, there are cases when journalists cover situations in a distorted way. That causes increasing problems and opposite sides become aggressive. However, the media plays a crucial role in covering religious conflicts. It contributes to the formation of religious perception in the society, That's why ,Media must be fair and impartial. Conflicts developed in Mokh village of Adigeni region and media coverage of this problem are studied in the work The research showed that Georgian journalists try to observe the norms of justice and ethics, but there are also frequent violations.

Keywords: Religion, Media, Conflicts, Commission, Mandate, Building, Region, Mokhi.

პარიანტულოზის ტიპოლოგია

ნინო ფართლაძე
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი (დოქტორანტი)
ხელმძღვანელი: ფილოლოგიის დოქტორი,
პროფესორი ეკატერინე მარუაშვილი
საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო
უნივერსიტეტი

DOI:<https://doi.org/10.52340/gbsab.2024.51.10>

საკვანძო სიტყვები: სიქრონია, დიაქრონია, პრაგმატიკა, ინვარიანტულობა, დინამიკა, ტრანსფორმაცია.

სოსიურის დროიდან დღემდე ენის სისტემური კვლევები უფრო ხშირად შემოიფარგლებოდა სიქრონიის დონით. ისტორიულ - გრამატიკული მიდგომა კი წინაპლანზე აყენებს სისტემური დიაქრონიის შესწავლას. კომუნიკაციის თითოეული სინქრონული სისტემა არის შედეგი წინამდებარე სისტემის განვითარებისა.

პრაგმატიკაში დიაქრონიის დონეზე სისტემური მიდგომის გავრცელება იძლევა საშუალებას კომუნიკაციის ელემენტები განვიხილოთ სისტემური ურთიერთობის თვალსაზრისით, რომლებიც წარმოიქმნებიან მათში დროის გარკვეულ პერიოდში მათი ისტორიული ცვალებადობის გათვალისწინებით. რათა შევისწავლოთ კომუნიკაციის სისტემის ესა თუ ის ელემენტები, აუცილებელია ვიცოდეთ არამარტო თანამედროვე ვითარება, არამედ დავუპირისპიროთ მას სისტემის ვითარება დიაქრონიაში. ამ შემთხვევაში თავს იჩენს ტრანსფორმაცია, სისტემის დინამიკა ან მისი მდგომარეობა, არა ცვალებადობა (ეს შესაძლებელია, იმ პირობით, როცა მოცემული ელემენტები იცვლიან რა თავისი გამოსახულების ფორმასთან ცვლიან სისტემაში თავის ადგილმდებარეობას). ამ კავშირში აღსანიშნავია გიიომის გამონათქვამი იმაზე, რომ სისტემის ტრანსფორმაციის შემთხვევაში შეიძლება მისი ისტორიული ფორმების აღდგენა (გიიომ 1993).

ვარიანტულობა წარმოადგენს თავისთავად ენის ფუნდამენტურ უნიკალურ თვისებას, რომელიც ჩადებულია ენობრივი სისტემის მოწყობაში, ეს არის „ენის ყველა ერთეულის არსებობა, რომელიც გამოავლენს სპეციფიკურ ნიშნებს ყოველი დონის ზღვარზე“ [ვ. სოლ ნცევი 1984:31].ლინგვისტიკაში ცნება ვარიანტულობა გამოიყენება:

„როგორც დახასიათება ყოველგვარი ცვალებადობის მოდიფიკაციის, რომელიც შეიძლება იყოს ევოლუციის შედეგი გამოყენებული სხვადასხვა ენობრივ საშუალებებში მსგავსი ან ერთი და იგივე მოვლენებისა, როგორც დახასიათება ხერხისა ენობრივ სისტემაში ენის ერთეულის არსებობისა და ფუნქციონირებისა. [ა. კამჩატნოვი 1983:121].

ჩვენი კვლევისათვის მთავარამოცანად ითვლება ის ვითარება, რომ ვარიანტულობა არის ენის ერთეულის ცვლილება (სტრუქტურული ან სემანტიკური) მისი ერთიანობის ფარგლებში. მოცემული განსაზღვრება შეიცავს ვარიაციის გამოყოფას გამონათქვამისა და შინაარსის ფორმით. ვარიაცია გამონათქვამის მხრივ ვარაუდობს მნიშვნელობის უცვლელობას, ამავდროულად შენარჩუნებას სტრუქტურული

ინვარიანტობისა. ვარიანტულობა შინაარსის მხრივ ვარაუდობს სტრუქტურის უცვლელობის მნიშვნელობას, რომელიც ინარჩუნებს აზრობრივ ინვარიაციულობას. ვარიაციულობის იდეა ითვალისწინებს ასეთი გზით შენარჩუნებული არსობრივი თვისებების ცვალებადობას(ე. სოლნცევი 1984). ვარიაციულობა ვარაუდობს ცვალებადობასა და მუდმივობასაც, გვევლინება როგორც მუდმივობისა და ცვალებადობის ერთობლიობა. ძირითად მიზეზებს შორის რომლებიც ბადებენ ვარიაციულობას, აღნიშნავენ ენების ფუნქციონალურ სისტემაში სხვადასხვა დროში წარმოქმნილი ელემენტების შეერთების შესაძლებლობას, მასში როგორც ძველი ასევე ახალი ფორმის და მოვლენების გაერთიანებას, რომლებიც წარმოქმნიან შედარებით ვარიაციულ წყვილებს ან რიგებს. დანარჩენ შემთხვევაში ვარიაციული ფორმები იქმნებიან ენობრივ სისტემაში(ნ. სემენიუკი 1965). მიზეზების გამოვლენა, რომლებიც ბადებენ ენის უძველეს ეტაპზე ვარიაციულობას, ძალიან რთული გამოსავლენია.

ისტორიული მასალისადმი მიმართვა აუცილებლად სვამს კითხვას ვარიაციულობისა და ისტორიული ცვლილებების თანაარსებობის შესახებ დიაქრონიის ფაქტთან მიმართებაში. ლინგვისტურ ლიტერატურაში არ არის ამ საკითხზე აზროთაერთობა. ზოგიმკვლევარი ვარაუდობს, რომ ვარიაციულობის შესახებ შეიძლება ისაუბროს ერთ ეპოქასთან მიმართებაში და უარყოფენ ამავედროულად ვარიაციულობას დიაქრონიაში. ერთნი არ უკავშირებენ ვარიაციულობას ისტორიულ ცვლილებებს, მეორენი კი, პირიქით, განიხილავენ ვარიაციულობას და ისტორიულ ცვლილებებს ურთიერთ დასაბუთებული მჭიდრო კავშირით. ვარიაციულობა არც თუ ისე იშვიათად გვევლინება ენის ისტორიული განვითარების პროცესში ერთ-ერთ განმსაზღვრელ ეტაპად. ვარიაციულობას ცვალებადობასთან და პერენტიერვაციასთან ერთად მიაკუთვნებენ ენაში მოძრაობის ძირითად ფორმებს. ცვალებადობა, როგორც ერთეულთა ერთობის დარღვევა მზადდება სინქრონიაში, მაგრამ არ ხდება მის შიგნით. რათა აღმოაჩინო ცვლილება აუცილებელია შეადარო სულ მცირე ორი სინქრონული კვეთა. ვარირება წარმოადგენს შედეგს, რომელიც არის ენის ისტორიის წინამორბედი და მოსალოდნელი ცვლილებების წინაპირობა. ენის ცვლილება და განვითარება ხორციელდება გამოყენების, შერჩევის, სხვადასხვა ვარიანტების შექმნის უსასრულო პროცესში, ე.ი უსასრულო ვარირების მსვლელობისას (ვ. სოლნცევი 1984). ენის მხოლოდ დიაქრონიული კვლევა იძლევა საშუალებას დადგინდეს ურთიერთკავშირი ენობრივი საშუალებების ვარირებასა და ცვლილებას შორის და გაივლოს ზღვარი ამ მოვლენებს შორის ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში.

რიგი გამოკვლევების მონაცემებით ბილინგვიები მსოფლიოში უფრო ბევრია ვიდრე მონოლინგვიები. ასე რომ ბილინგვიზმი თანამედროვე სამყაროში შეიძლება აღიარებული იქნას საკმაოდ გავრცელებულ მოვლენად. ცნობილია, რომ დღესდღეობით საბავშვო ბილინგვიზმი მოიცავს ჩვენი პლანეტის თითქმის ბავშვთა ნახევარს. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ეს ტენდენცია გაიზრდება შემდგომშიც, ბილინგვიზმი გახდა ერთ-ერთი ყველაზე მკაფიო მოვლენა კულტურათაშორის კომუნიკაციაში, როგორც სხვადასხვა კულტურის წარმომადგენელ ადამიანთა ურთიერთობა. ასეთი ურთიერთობა წარმოიშვება, როგორც წესი შუამავალი ენის დახმარებით, რომლითაც სარგებლობენ სხვადასხვა ენობრივი საზოგადოების წარმომადგენლები.

ენები იშვიათად არიან სრულყოფილი, ურთიერთობის მოთხოვნილება აიძულებთ ერთ ენაზე მოსაუბრეებს ჩაებან უშუალო ან არა უშუალო კონტაქტში მეზობელ ან კულტურულ დომინირებულ ენებთან. ახლა, როგორც არასდროს ცივილიზებული სამყარო საჭიროებს ხალხთა შორის კომუნიკაციას ერთ ენაში, რაც

დაკავშირებულია საზოგადოების სწრაფ განვითარებასთან. ზოგიერთი სოციალურ-ისტორიული მიზეზით, ინგლისურმა ენამ უკვე დიდი ხანია გაუსწრო სხვა ენებს გავრცელების და პოპულარობის მხრივ მთელს მსოფლიოში და გახდა საყოველთაო სამეტყველო ენა. მსოფლიოში ინგლისური ენის როლის გაძლიერებას უწოდებენ ინტელექტუალურ კატასტროფას სხვა ენების გამოძევების ხარჯზე. ინგლისური ენის ექსპორტმა მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, გამოიწვია ბილინგვიზმის ინტენსიური განვითარება და შექმნა მთელი რიგი ვარიაციები ინგლისური ენის თემაზე (ე. სეპირი 1993).

ინგლისური ენის კონტრაქტურებით გამოწვეული ენობრივი ვარიაციულობა იქცევს მეცნიერთა განსაკუთრებულ ყურადღებას იმიტომ, რომ ამ მოვლენის სოციალური ეფექტურობა საკმაოდ მნიშვნელოვანია. მაგალითად, აშშ-ში ინგლისური ენა რომელიც გამოიყენება ემიგრანტების მიერ, „გაკვირვებულა“ მათი მშობლიური ენის მნიშვნელოვანი ზემოქმედებით.

ემიგრანტების ინგლისური საუბრის აქცენტს აქვს ძალიან უარყოფითი სოციალურ-კომუნიკაციური რეზონანსი. ნორმალური ინგლისური ენის ფლობის მოთხოვნამ აშშ-ში წარმოშვა შესაძლებლობა უამრავი ინსტიტუტის აღმოცენებისა, რომლებიც დაკავებულნი არიან ადამიანთა საუბარში არასასურველი აქცენტის გამოსწორებით. რათა გაიკეთონ წარმატებული კარიერა ამერიკულ საზოგადოებაში, იძულებული არიან დაეუფლონ „ოფიციალურ ინგლისურს“. ბევრი მეცნიერი დაკავებულია უცხო ენის აქცენტის კვლევით, რაც დაკავშირებულია საუბრისას უცხოური აქცენტის ხარისხის შემცირებასთან. უცხოური აქცენტი წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ მოვლენას, რომელიც თავს იჩენს მრავალი ქვეყნის არა ადგილობრივი მოსახლეობის საუბრისას.

ენობრივი ვარიაციულობა ლინგვისტების მიერ განიხილება, როგორც ენობრივი სისტემის იმანენტური თვისება, რომელიც ეხება ენაში ფორმისა და შინაარსის ქვესისტემას, სიქრონიასა და დიაქრონიას და აგრეთვე შიგა სისტემურ ურთიერთობას. ცნება ვარიაციულობა არ არის საკუთრივ ლინგვისტური, ის გამოყენებულია სხვადასხვა სფეროებისა და სტრუქტურის განხილვისას. ტერმინი „ვარიაციულობა“ განისაზღვრება მეცნიერების მიერ სხვადასხვანაირად - „ნაწილობრივი ცვალებადობა“, „სახეცვლილების შესაძლებლობა“, „სახეცვლილების პროცესი“ და ა.შ. ვარიაციულობის ძირითად აუცილებლობას წარმოადგენს ზოგიერთი ინვარიანტი, რომელიც ინარჩუნებს თავის თავს ობიექტური სახეცვლილების სერიაში (საგანი, მოვლენა ან ურთიერთობა) და აერთიანებს ამ სერიას უფრო მაღალი საგნის ერთობაში. ენობრივი ცვლილებების მოვლენები აღწევენ მთელი ენის სისტემაში. ნებისმიერ ენაში მუდმივად ხდება ნაწილობრივი ცვლა მთავრის შენარჩუნების ფონზე, „ენობრივი დრეიფი“ (ენობრივი განვითარების გადახვევა). თეორიის თანახმად, რომელიც შემოგვთავაზა სეპირმა, ენა მოძრაობს დროსა და სივრცეში, საკუთარი დინებით; საუბრის ინდივიდუალური ვარიაციები მოძრაობენ განსაზღვრული მიმართულებით ენის დრეიფის ვარაუდით:

„ენობრივ დრეიფს აქვს თავისი მიმართულება... მასში ფეხს იკიდებს მხოლოდ ის ინდივიდუალური ვარიაციები, რომლებიც მოძრაობენ განსაზღვრული მიმართულებით, იმის მსგავსად, როგორც ზოგიერთი ტალღის მოძრაობა ყურეში შეესაბამება წყლის მოძრაობას (მოსვლა-წასვლა). ენის დრეიფი ხორციელდება არაკონტროლირებადი სასაუბრო შერჩევით იმ ინდივიდუალური გადახრებისგან, რომლებიც შეესაბამებიან რაღაც წინასწარ განსაზღვრულ მიმართულებას [ე. სეპირი 1993:44].

ვარიაციულობის თეორიის ძირითადი ცნებები ასახულია ტერმინებში

ვარიაციულობა“, „ვარიანტულობა“, „ვარირება“, „ვარიანტი“ „ინვარიანტი“, „შერწყმული“, „ნორმა“.

პირველი ორი ტერმინი ჩვეულებისამებრ გამოიყენება სინონიმებად, გამოყოფენ მათ ფართო და ვიწრო განმარტებებს. ვარიაციულობა ფართო ხედვით აღნიშნავს ყოველგვარ ცვალებადობას, მოდიფიკაციას. ასეთი გაგების შემთხვევაში არ არის აუცილებლობა ვარიანტი დაუპირისპირდეს ინვარიანტი. ვიწრო განმარტებაში ვარიაციულობა განისაზღვრება როგორც არსებობის ხასიათის საშუალება და ენის ერთეულთა ფუნქციონირება სინქრონიაში. აქ განიხილება დიქოტომია „ვარიანტულობა – ინვარიანტულობა“, სადაც ინვარიანტი გამოდის აბსტრაქციით თვისებით, კლასის ნიშნის მატარებლით. ამავდროულად განიხილება ვარირების ორი სახეობა: ენის სისტემის ვარირება და ენის ერთეულთა ვარირება, რომელიც დაფიქსირებულია ორი წყვილის დაპირისპირებაში: „ვარიანტულობა – მთლიანობა“, „ვარიანტულობა – კონსტანტობა“.

მსგავსი მიდგომა უზრუნველყოფს კვლევის ყურადღების კონცენტრაციას ენის უცვლელ თვისებებზე, მის თავის თავთან მსგავსებას დროსა და სივრცეში.

ლიტერატურა

1. ფ. სოსიური, ზოგადი ენათმეცნიერების კურსი. თბილისი: გამომცემლობა დიოგენე, 2002, 237გვ.
2. E. Cassirer, Die Kantischen Element in Wilhelm von Humboldts Sprachphilosophie. Festschrift f/ Paul Hensel, Eerlanguen – greiz, 1923.
3. W. von Humboldt, Ueber die verschiedehheit des menschlichen Sprachbaues und ihren Einflub auf die geistige Entwicklung des Menschengeschlechts, mit. Anm. und Excursen, sowine als einleitung: Wilhem von Humbolt und die Sprachwissenschaft, Hrsg. und. erl. von A.F. Pott, Berlin: 1880.

DYNAMIC STUDY OF CRANE VEHICLES

RESUME

Linguistic variability is a result that, at the same time, can be a precursor to the history of a language and a prerequisite for expected changes. Language changes and evolves in a never-ending process of creating different variants.

The communicative act is a product of linguistic variation. Every speech behavior is one concrete part of a person's life action. If there is a person as a socio-biological being, one of his characteristic features is active action, both towards the world and a certain group of people. Each speech act is a socially determined process based on the corresponding linguistic corpus and the mechanism of their selection.

ევროკავშირის სუპრანაციონალური გუნება და ეროტიანი ზეეროვნული ინტერესების აღიარება

ნინო გელიაშვილი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

DOI: <https://doi.org/10.52340/gbsab.2024.51.02>

საკვანძო სიტყვები: ევროკავშირი; სუპრანაციონალური; ზეეროვნული; ეროვნული.

შესავალი. როგორც საყოველთაოდ ცნობილია საქართველო უპირობოდ ადგას ევროკავშირში გაერთიანების გზას. ეს მისწრაფება მას ისტორიულად ჰქონდა და დღეს მიეცა მისი სრული განხორციელების საშუალება, რადგანაც ევროკავშირმა თვითონ გამოაცხადა თავისი საზღვრების აღმოსავლეთით და სამხრეთით გაფართოების სურვილი.

ძირითადი ტექსტი. ტერმინი „სუპრანაციონალური“ სიტყვა-სიტყვით ნიშნავს ეროვნულ ინტერესებზე მაღლა მდგომს, ანუ ზეეროვნულს. ტერმინი „სუპრანაციონალური“ პირველად დაფიქსირდა ევროპის ქვანახშირის და ფოლადის გაერთიანების შექმნის ხელშეკრულებაში (1951 წელი, 18 აპრილი, ქ. პარიზი). ამით საფუძველი ჩაეყარა სუპრანაციონალური სისტემით მმართველობას. მოცემულ კერძო შემთხვევაში ეს გაერთიანება იმართებოდა არა საფრანგეთის ან გერმანიის ინტერესებით, რომლებიც ამ ხელშეკრულების მხარეები იყვნენ, არამედ, სუპრანაციონალური ინტერესით, ანუ ზეეროვნული ინტერესით. მაშასადამე, ამ ხელშეკრულებით გერმანიამაც და საფრანგეთმაც თავისი ნებით დათმეს ეროვნული ინტერესები და ის გადასცეს სუპრანაციონალური სისტემით მართულ ევროპის ქვანახშირის და ფოლადის გაერთიანებას. ამის შემდეგ, იგივე გაიმეორა ევროკავშირმა, რომლის 27 წევრმა ქვეყანამ საკუთარი სუვერენიტეტის ნაწილი დაუთმეს ევროკავშირს.

1945-1948 წლებში გამოქვეყნებულ სტატიებში მეცნიერი ალბერტ აინშტაინი ხშირად იყენებდა ტერმინს სუპრანაციონალიზმს და აცხადებდა, რომ არსებობს მხოლოდ ერთი გზა მშვიდობისა და უსაფრთხოებისკენ და ეს არის გზა სუპრანაციონალური ორგანიზაციის შექმნისკენ“ [Ainstein A. 1954]. სუპრანაციონალური მმართველობა არის მართვის უნიკალური მოდელი. მეცნიერმა ერნესტ ჰაასმა 1958 წელს ასე ახსნა სუპრანაციონალურ მმართველობაზე გადასვლა: ქვეყნებს შორის ერთ სფეროში თანამშრომლობა სტიმულს აძლევს სხვა სფეროებშიც ამ თანამშრომლობის „გადაღვრას“ („Spillover“). პროცესი შეუქცევადია, აღნიშნული თანამშრომლობები მრავლდება, გროვდება და ქვეყნები იწყებენ დათანხმებას ამ სხვადასხვა სფეროების ერთობლივი პრინციპებით მართვაზე [ნანობაშვილი ი., მორსკი ჯ., ლემონჯავა გ. 2021]. ეს არის სწორედ სუპრანაციონალური მოდელი.

მაშასადამე, დღეს ევროკავშირი იმართება სუპრანაციონალური მოდელით. მის თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ მისმა წევრებმა არა იძულებით, არამედ, ნებაყოფლობით უმჯობესად ჩათვალეს ესა თუ ის გადაწყვეტილება მიიღონ არა ერთპიროვნული, არამედ, ევროკავშირის ინსტიტუტების ჩართულობით. ეს თავისებურება არის ევროკავშირის ფუძემდებლური პრინციპი.

მართალია საქართველო ევროკავშირის წევრი ქვეყანა არ არის და ჯერ მხოლოდ წევრობის კანდიდატის სტატუსს ფლობს, მაგრამ აუცილებლად უნდა გავიცნობიეროთ მასში გაწევრიანებით (ანდა თუნდაც დღევანდელი ასოცირების ხელშეკრულებით) რას

ვკარგავთ და რა სარგებელს ვიღებთ, რა არის უფრო მეტი - სარგებელი თუ დანაკარგი.

ევროკავშირის მკვლევარები წერენ, რომ ევროკავშირის შექმნის ცენტრალურ საკითხს ყოველთვის წარმოადგენდა სუპრანაციონალიზმსა და წევრი ქვეყნების ეროვნულ ინტერესებს შორის ბალანსის დამყარება [ნანობაშვილი ი., მორსკი ჯ., ლემონჯავა გ. 2021]. ევროკავშირის ინსტიტუტების (ევროპარლამენტი, ევროკომისია, ევროსაბჭო და სხვები) მუშაობის განხილვისას ჩანს, რომ რიგ შემთხვევაში ისინი სუპრანაციონალურ, ზოგში კი ეროვნულ თვისებებს ამჟღავნებენ. ხშირ შემთხვევაში ევროკავშირსა და მასში გაწევრიანებულ ქვეყნებს შორის გადაწყვეტილებათა მიღებაში კომპეტენციებია გადანაწილებული. მაგალითად, ევროკომისია ერთმნიშვნელოვნად სუპრანაციონალური ბუნების ორგანიზაცია არის. მათი თანამშრომლები ევროკავშირის წევრი ქვეყნებიდან არიან, მაგრამ ისინი აქ მოქმედებენ საერთო ევროპული ამოცანების შესასრულებლად და არა თავისი ქვეყნის ინტერესების შესასრულებლად. მისგან განსხვავებულია ევროპარლამენტი. იგი ცალსახად ორმაგი ბუნებისაა. ის ფაქტი, რომ ევროპარლამენტის მანდატები ევროკავშირის წევრ ქვეყნებზე გადანაწილებულია მათი მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით, ანუ ქვეყნებს ამის ქვოტები აქვთ მიცემული, ეს არის ევროპარლამენტის ეროვნული ნაციონალური ბუნება, ხოლო ის ფაქტი, რომ წევრ ქვეყნებს ევროპარლამენტში არ ჰყავთ ეროვნული დეპუტაციები და მათი დეპუტატები გაფანტული არიან სხვადასხვა ჯგუფებში, ეს, უკვე არის სუპრანაციონალიზმის გამოვლინება.

მაშასადამე, როდესაც საქართველო ევროკავშირის წევრი ქვეყანა გახდება, იგი მთელი რიგი გადაწყვეტილებების მიღების უფლების დელეგირებას მოახდენს ევროკავშირზე. დელეგირების გადაწყვეტილებას საქართველოს მთავრობა მიიღებს და შემდეგ დაიდება შეთანხმება ევროკავშირთან. ეს საქართველოს მომავალი მთავრობის და მომავალი დროის საქმეა. ამჟამად კი, საქართველოს ევროკავშირთან მხოლოდ საყოველთაო, ღრმა თავისუფალი ვაჭრობის ასოცირების შეთანხმება აქვს დადებული.

დასავლეთის განვითარებულ ქვეყნებში თავისუფალი ვაჭრობის სისტემას ადრეულ წლებში არ ანიჭებდნენ ასეთ მნიშვნელობას. მაშინ გაბატონებული მდგომარეობა ეროვნული მეურნეობის პროტექციონისტულ პოლიტიკას ეკავა. მისი დამცველები იყვნენ მერკანტილისტები, რომლებიც მოითხოვდნენ იმპორტის აკრძალვას, რომ ადგილობრივი წარმოების საქონელი დაეცვათ უცხოური კონკურენციისგან [კვარაცხელია დ. 2008]. საკუთარი წარმოების ასეთი დაცვით ეკონომიკურ აღმავლობას მიაღწიეს ინგლისმა, გერმანიამ და ევროპის სხვა ქვეყნებმა. გერმანიის პროტექციონისტულ პოლიტიკას მმართველობას უწევდა ფრიდრიხ ლისტი, რომელიც წერდა, რომ განვითარების სხვადასხვა სტადიაზე მყოფი ერებისთვის ვაჭრობის თავისუფლება თანაბარ სარგებლობას ვერ უზრუნველყოფს, რადგანაც ეკონომიკურად ჩამორჩენილ ქვეყნებს კონკურენციაში გამარჯვების მიზერული შანსიც არ გააჩნიათ“ [კვარაცხელია დ. 2008].

მაშასადამე, ევროპის ქვეყნები მათი განვითარების საწყის ეტაპზე მხარს უჭერდნენ არა თავისუფალ ვაჭრობას, არამედ, საკუთარი წარმოების პროტექციონისტულ პოლიტიკას. ამით მათ წლების განმავლობაში სამამულო წარმოებას კონკურენციის საფრთხეები ააცილეს თავიდან. ამ პერიოდის გასვლის შემდეგ, მხედველობაში გვაქვს XIX საუკუნე, საზღვარგარეთის ქვეყნებში თანდათან დაიწყო თავისუფალი ვაჭრობის პრინციპების რეკლამირება და დამკვიდრება. დღეისათვის, - წერს მეცნიერი დ. კვარაცხელია, - მათთვის მისაღებ პოლიტიკას წარმოადგენს ვაჭრობის თავისუფლების პრინციპების შესაბამისი ეკონომიკური პოლიტიკა, რამაც ხელი უნდა შეუწყოს აღნიშნული ქვეყნების ნედლეულით უზრუნველყოფასა და მათ

მიერ წარმოებული პროდუქციის შეუფერხებელ რეალიზაციას, რაც აუცილებელია ამ ქვეყნებში უწყვეტი ტექნიკური პროგრესისთვის და სამუშაო ძალის სრული დასაქმებისთვის“ [კაკულია რ. 1995]. არის ამ მსჯელობაში სიმართლის მარცვალი, კერძოდ კი ის, რომ ვაჭრობის თავისუფლება ეწინააღმდეგება ნაკლებგანვითარებულ ქვეყნებში მთავრობის მიერ პროტექციონისტული პოლიტიკის გატარებას საკუთარი ტექნოლოგიური ჩამორჩენილობის დასაძლევად და საკუთარი წარმოების ასაღორძინებლად. ამით განვითარებად და ნაკლებგანვითარებულ ქვეყნებში ხელი ეშლება მაღალტექნოლოგიური დარგების განვითარებას. ამ აზრისაა ქართველი მეცნიერი რ. კაკულიაც. იგი ამ, საკითხში განსაკუთრებულ ბრალს სდებს სავალუტო ფონდს, რომელიც მიაჩნია ღრმად იდეოლოგიზებულ ორგანიზაციად, რომელიც „უცხოეთის მაღალგანვითარებულმა ქვეყნებმა თავიანთი ეკონომიკური პრობლემის გადასაწყვეტად შექმნეს და არა სუსტად განვითარებული ქვეყნების სილატაკის დასაძლევად... მიმდინარეობს მათი დაკაბალება“ [კაკულია რ. 1995].

აშშ, იაპონია და ევროპის მაღალგანვითარებული ქვეყნები საჭირო შემთხვევაში შეფარულად თავის ქვეყანაში და თავის სასარგებლოდ კვლავაც იცავენ პროტექციონისტულ პოლიტიკას. აბა, სხვა რა არის თუ არა, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების პროტექციონიზმი. ის ფაქტი, რომ ევროკავშირი ახორციელებს საკუთარი საექსპორტო სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის სუბსიდირებას, ხოლო მის იმპორტზე გარე ქვეყნებიდან მაღალი გადასახდები აქვს დაწესებული? [კვარაცხელია დ. 2008] ევროკავშირი - საქართველოს ასოცირების ხელშეკრულების SWOT-ანალიზში, რომელიც განახორციელა ქართველმა მეცნიერმა ნ. დადელიშვილმა, და რომელზეც ჩვენ ნაშრომის წინა თავში ვისაუბრეთ, ეს კარგად ჩანს. ირკვევა, რომ ევროკავშირის ქვოტები აქვს დაწესებული იმპორტზე (მაგალითად, ნიორზე), გაურკვეველია საქართველოსა და ევროკავშირის მომავალი, გაიზრდება საქართველოში ევროკავშირიდან იმპორტი, სენსიტიურ (მგრძნობიარე) დარგებში მოხდება კრიზისი, დაზარალებიან ქართველი ფერმერები. ასოცირების შეთანხმების SWOT-ანალიზის ძლიერ მხარეებში ამის საპირწონეა: სტაბილურობა რეგიონში, დემოკრატიის ხელშეწყობა, კაპიტალის და სამუშაო ძალის თავისუფალი მოძრაობა, თავისუფალი ვაჭრობა და ა. შ.

მაშასადამე, ასარჩევი იყო რომელ მხარეს დავიკავებდით ვიდრე ხელს მოვაწერდით ასოცირების შეთანხმებას და რადგან მოვაწერეთ ხელი და საქართველოს მოსახლეობის 80%-ზე მეტმა მხარი დაუჭირა საქართველოს ევროპეიზაციას, ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენ მხარი დავუჭირეთ ჩვენი ორმხრივი ურთიერთობების ძლიერ მხარეებს და არ შევეუ-შინდით (ან არ ვიცოდით) სუსტ მხარეებს.

დასახელებული სუსტი მხარეები ევროკავშირთან ჩვენს ურთიერთობებში არსებული გამოწვევებია. ჩვენ მტკიცედ გვჯერა, რომ ეს გამოწვევები უფრო მეტია, ვიდრე ოთხი, და, ისიც გვჯერა, რომ საქართველოს მოსახ-ლეობის უდიდესმა ნაწილმა არა თუ შეთანხმებაზე ხელის მოწერის დროს, არამედ, დღესაც არ იცის ამ გამოწვევების შესახებ. არადა, ევროკავშირი - საქართველოს 720 გვერდიანი ასოცირების შეთანხმებამ ეკონომიკის ყველა დარგში და ყველა სფეროში მრავალი რეკომენდაცია მოგვცა. ეს რეკომენდაციები ჩვენ „ვალდებულებებად“ მივიღეთ და დავიწყეთ მათი უპირობო შესრულება. არც შეთან-ხმებაზე ხელის მოწერის დროს, და, არც შემდეგ, საქართველოს მთავრობას არცერთი რეკომენდაცია არ განუხილავს ეროვნული ინტერესების პრიზმაში და საქართველოს მიუღებლად არ მიუჩნევია რომელიმე მათგანი.

დასკვნა. აი, ასეთი მდგომარეობაა დღეს ევროკავშირი - საქართველოს სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობებში. საქართველოს მთავრობის მთელი ძალისხმევა დღეს იხარჯება არა მათთან სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობის მოწესრიგებაზე,

რომელიც საქართველოს მოსახლეობის სიღარიბიდან გამოყვანის საფუძველთა საფუძველია, არამედ, ევროკავშირთან პოლიტიკური ურთიერთობის გასამყარებლად და დავალებად მიღებულ პირობების შესრულებით, ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნის სტატუსის მოსაპოვებლად. ეს კვლევის სხვა თემაა და ჩვენ მასზე არ შევჩერდებით.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Ainstein A. Ideas and Opinions, New-York: Crown/Bonanza. 1954. p. 147.
2. ნანობაშვილი ი., მორსკი ჯ., ლემონჯავა გ. შვიდი ნაბიჯი ევროკავშირის გასააზრებლად. თბ., თსუ გამომცემლობა. 2021. გვ. 16.
3. კვარაცხელია დ. თავისუფალი ვაჭრობისა და პროტექციონისტულ პოლიტიკის ანალიზი ისტორიული ასპექტის გათვალისწინებით, შრომების კრებული - „გლობალიზაცია და საქართველოს ეკონომიკური განვითარება: გამოწვევები და შესაძლებლობები, საქართველოს გლობალიზაციისა და რეგიონული ინტეგრაციის კვლევის ცენტრი. თბ., გამომც.: „უნივერსალი“. 2008. გვ. 49.
4. კაკულია რ. საერთაშორისო სავალუტო და საკრედიტო ურთიერთობები. თბ., 1995. გვ. 21.

აბსტრაქტი

სტატიაში - „ევროკავშირის სუპრანაციონალური ბუნება და ერთიანი ზეეროვნული ინტერესების აღიარება“ - განხილულია საკითხი იმის შესახებ, რომ ევროკავშირის წევრ დღევანდელ ქვეყნებს, და, მომავალში გაწევრიანებულებსაც მოუწევთ საკუთარ ეროვნულ ინტერესებზე მალა დადგომა. ეს გასათვალისწინებელია საქართველოსთვის, რომელმაც უკვე მიიღო კანდიდატის სტატუსი და ელოდება გაწევრიანებას.

Abstract

In the article - “The supranational nature of the European Union and the recognition of common supranational interests” - the question is discussed that the current member states of the European Union, and those that will join in the future, will have to stand above their own national interests. This should be considered for Georgia, which has already received the candidate status and is waiting for the accession.

Keywords: European Union; supranational; supernatural; National.

დასაქმების ციფრული ტრანსფორმაცია

თეიმურაზ ყანდაშვილი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

მარიკა ხვადაგიანი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

DOI: <https://doi.org/10.52340/gbsab.2024.51.06>

საკვანძო სიტყვები: დასაქმება; ციფრული ტრანსფორმაცია; ხელოვნური ინტელექტი; ციფრული პროფესიები

შესავალი

ჩვენი ეპოქა ტექნოლოგიური ცვლილებების და ციფრული გარდაქმნების ეპოქაა. ციფრული ეკონომიკა, ინდუსტრია 4.0, ხელოვნური ინტელექტი, ბლოკჩეინი და მრავალი სხვა რეალობაში ყოველდღიურად გვხვდება და მით უფრო მეტი შეგვხვდება უახლოეს მომავალში. აშკარა გახდა, რომ მომავალი ციფრულ ტექნოლოგიებზე იქნება დამოკიდებული. ეს უნდა გაიცნობიეროს და მხედველობაში მიიღოს დამსაქმებელმაც და დასაქმებულმაც.

ძირითადი ტექსტი. 2016 წელს ჩინური კომპანია „FORCONN“-ი ავტომატიზებულ წარმოებაზე გადავიდა და სამსახურიდან 60 000 ადამიანი გაანთავისუფლა, იმავე წელს რობოტმა ლონდონში (ინგლისი) ფილტვის კიბოს ოპერაცია გააკეთა, 2016 წელს იაპონურმა კომპანია „პიტარი“-მ ადამიან-მენეჯერების ნაცვლად სამუშაო პროცესების და დასაქმებულთა ვალდებულებების შესრულების გასაკონტროლებლად გამოიყენა რობოტი-მენეჯერები, დიდ ბრიტანეთში სამთო-სათხილამურო სპორტში მწვრთნელის როლში რობოტს იყენებენ და ა. შ. ასეთი მაგალითების მოყვანა მრავლად შეიძლება. 2020 წელს ამერიკის სამხედრო სატრანსპორტო საშუალებებმა უპილოტოდ დაიწყო მოძრაობა, 2021 წლიდან ამერიკის არმიის ¼ რობოტი იქნება. გამოსცადეს „ტოიოტა-პრიუსის“ მფლობელი, რომელშიც რობოტტექნიკოსი იჯდა, მაგრამ მანქანას არ მართავდა. შვიდმა ასეთმა მანქანამ მძღოლის გარეშე 1600 კმ გაიარა, ხოლო მძღოლის მინიმალური დახმარებით 225 000 კმ. 2050 წელს კომპიუტერები სურათებს დახატავენ და მუსიკასაც შექმნიან.

ეს პროცესი დიდი ხანია დაიწყო. ხელოვნური ინტელექტის იდეა XX საუკუნის 50-იანი წლებიდან გავრცელდა (თუმცა, ინტელექტუალურ რობოტებზე ადრეული ცნობებიც არსებობს). ტერმინი „ხელოვნური ინტელექტი“ 1956 წელს გაავრცელა ამერიკელმა ჯ. მაკარტიმ. ამ წლებში ხელოვნური ინტელექტის შექმნის მცდელობებიც იყო, მაგრამ ამ მიმართულებით სერიოზული მიღწევა მხოლოდ 2008 წელს დაფიქსირდა, როდესაც კომპიუტერმა წამში 10 მილიარდი ბრძანება შეასრულა.

ისმება კითხვა: რა პროცესია ეს - პროგრესის თუ რეგრესის? თუ ხელოვნური ინტელექტით ადამიანები სამუშაოზე ჩანაცვლდებიან, მაშინ, შრომის მწარმოებლურობა გაიზრდება და დანახარჯებიც შემცირდება, მაგრამ ეს ადამიანები ხომ უმუშევრები დარჩებიან? როგორ უნდა ირჩინონ მათ თავი, როგორ უნდა შეინახონ ოჯახი?

2025 წელს ხელოვნური ინტელექტი რეალური გახდება, - წერს ქართველი

მეცნიერი გ. ჯოლია, - მთავარი საკითხი გახდება ადამიანის ურთიერთობა ტექნიკასთან. ამ პროცესში კონფლიქტის მარცვალა ჩადებული, რადგან ტექნიკა სწრაფად ვითარდება, ადამიანების გონება კი ნელა იცვლება. შედეგად, ტექნიკა, რაც უფრო ღრმად შემოიჭრება ადამიანთა ცხოვრებაში, მით მეტი იქნება მისი დამანგრეველი ძალა“ [ჯოლია. 2016].

დანგრევის შედეგი შეიძლება დადებითიც იყოს და უარყოფითიც. ამ გადასახედიდან იგი დაანგრევს ძველს, ტრადიციულს, რომელსაც ჩვენ მიჩვეული ვართ, მასთან ერთად ვიცხოვრეთ და „გვიყვარს“ კიდევაც. ამიტომ, ჩვენი გადასახედიდან მისი დამანგრეველი ძალა უარყოფითი იქნება.

რას დაანგრევს იგი უპირველეს ყოვლისა? უპირველეს ყოვლისა, იგი დაანგრევს დასაქმებას, ჩანაცვლებს რა სამუშაო ადგილებზე ადამიანებს, ამით იგი ხელიდან გამოაცლის მათ სამუშაოს. ექსპერტები ამბობენ, რომ რობოტები მხოლოდ რუტინულ სამუშაოს შეასრულებენ. ადამიანებს კი დარჩებათ შემოქმედებითი (კრეატიული) სამუშაოები. ჯერ ერთი ყველა ადამიანი არ იბადება შემოქმედებითი ნიჭით და მეორე, არაბიოლოგიური (ხელოვნური) გონების სიმძლავრე ყოველწლიურად ორმაგდება, ხოლო ადამიანის ბიოლოგიური გონება არსებითად არ იცვლება [Эвелин Бос. 2008]. ასეთ შემთხვევაში რობო-ტების კომპიუტერული გონება აჯობებს ბიოლოგიური ადამიანის გონებას თვით შემოქმედებით საქმეშიც, მაშინ სადღა დასაქმდება ადამიანი?

ცხადია, არავის არ შეუძლია ზუსტი პროგნოზირება, თუ მომავალში რა მოხდება, რას შეძლებენ და რას ვერ შეძლებენ ან ადამიანის დახმარების გარეშე ვერ შეძლებენ რობოტები, მაგრამ ფაქტია, რომ ჩვენ ჩვენდამი მოპირისპირე „კლასს“ ვქმნით, და თანაც, წლიდან-წლამდე, ვზრდით და ვსრულყოფთ მას.

მართალია ამ სფეროში ბევრი რამ ჯერ-ჯერობით ბუნდოვანია, მაგრამ ხომ ფაქტია, რომ დაიწყო და ფორმირდება საყოველთაო ელექტროციფრული ცივილიზაცია, ანუ ტრადიციული ეკონომიკა (მ. შ. ბიზნესი) თანდათან ციფრულ მოდელზე გადადის. მაღალია მისი ზრდის ტემპიც (იხ. ცხრილი 1).

როგორც ცხრილიდან ჩანს, ციფრული ტექნოლოგიების მსოფლიო ბაზარი 2019-2022 წლებში 2,2-ჯერ (225,3%) გაიზარდა, ხოლო 2019-2025 წლებში, მის ზრდას ვარაუდობენ თითქმის 6-ჯერ (597,9%).

ცხრილი 1

ციფრული ტექნოლოგიების ბაზრის დინამიკა მსოფლიოში (მლრდ დოლარი)

	წლები				2022 წ. %-ად 2019 წელთან	2025 წ. %-ად 2019 წელთან
	2019	2020	2022	2025		
სულ მათ შორის	46	54	77	232	167%	504,3%
დიდი მონაცემები	1,0	1,8	5,4	28,3	540%	2830%
ბლოკჩეინი	2,08	2,19	2,41	2,79	115,8%	134,1%
კომპიუტერული ინჟინერინგი	57	67	91	147	159,6%	257,8%
რობოტოტექნიკა	29	40	75	191	258,6%	658,5%
ხელოვნური ინტელექტი	394	511	888	2356	225,3%	597,9%

წყარო: Индикаторы цифровой экономики. М., НИУ ВШЭ. 2019. გვ. 223.

ციფრული ტექნოლოგიების ბაზარზე ცვლილებების ეს ტემპი ჩვენთვის საინტერესოა ჩვენი სადისერტაციო თემის კონტექსტში. ეს თემა ეხება დასაქმებას. ამ კუთხით მეცნიერები ციფრულ ტექნოლოგიებზე ასეთ აზრებს გამოთქვამენ [ჯოლია. 2021]:

➤ ცალმხრივ იგი ამსუბუქებს ადამიანის შრომას, მეორე მხრივ, რიგ პროფესიებს აუქმებს და სამუშაო ადგილებს ამცირებს;

➤ ცალმხრივ გამიზნულია ადამიანის შემოქმედებითი პოტენციალის (უნარის) გახსნაზე, მეორე მხრივ, იგი ბიზნესპროცესებზე ამცირებს ადამიანისეული ფაქტორის როლს და ა. შ.

ეს აზრები არ ეკუთვნის მხოლოდ ერთ ადამიანს. ასეთი შეხედულებები სხვა მეცნიერებსაც აქვთ ანესტერენკო, ატკინსონი, ბელლი, ცუკერბერგი და სხვები.

სამყაროში დღეს მიმდინარე რევოლუცია, რომელსაც მე-4 ინდუსტრიული რევოლუცია ეწოდა (4,0), შრომის ბაზრის მნიშვნელოვან ცვლილებებს იწვევს, კერძოდ:

➤ მოსახლეობის პოლარიზაცია აქტიურდება (ერთ მხარეს ჩნდება ინფორმაციული ტექნოლოგიების აქტიურად მომხმარებელი მოსახლეობა, ძირითადად, ახალგაზრდობა, მეორე მხარეს კი - ადამიანები, რომელთაც არ გააჩნიათ ინფორმაციული ტექნოლოგიების ცოდნა);

➤ ადამიანთა პროფესიების სასიცოცხლო ციკლი მცირდება (ციფრულ სამყაროში პროფესიები ადვილად და სწრაფად ძველდება, ამიტომ, საჭირო იქნება ადამიანები სხვადასხვა პროფესიებს ფლობდნენ).

კვლევები მოწმობენ, რომ დასაქმების სფეროში ნორმად იქცევა მაღალკვალიფიციური თანამშრომლების მცირე რაოდენობა, მათ მაღალი ანაზღაურებაც ექნება, დანარჩენ სამუშაოებს რობოტები შეასრულებენ - აშშ-ში სამუშაოთა 47%-ს, იაპონიაში - 50%-ს [Vakao Y., Osborn M. 2015]. ისიც ნავარაუდევია, რომ 2022 წლისთვის მსოფლიოში სამუშაო ადგილების 22%-ს ციფრული პროფესიის მუშაკები შეასრულებენ [Accenture... 2015].

რა სამუშაოები იქნება ეს?

ვარაუდობენ, რომ ეს სამუშაოები იქნება:

➤ კიბერეკონომიკაში (ვირტუალური რეალობის ეკონომიკა);

➤ კრეატიულ ეკონომიკაში (შემოქმედებითი ინდუსტრია);

➤ ადამიანზე ორიენტირებულ სერვისებში (განათლება, ჯანდაცვა, ბანკები, საყოფაცხოვრები და ინდივიდუალური მომსახურების სექტორები);

➤ მწვანე ეკონომიკაში („მწვანე“ ქალაქების შექმნა და აღდგენა. ამ სფეროში „მწვანე“ პროფესიების გამოჩენა);

➤ ახალ ტექნოლოგიურ სექტორში (ციფრული მედიცინა, რობოტოტექნიკა, ბიოტექნოლოგიები, ნეიროტექნოლოგიები).

ვიმყოფებით რა ზრდადი სირთულეების ციკლში, ჯერ-ჯერობით რობოტებით ნაკლებად ჩანაცვლდება მსხვილი ინდუსტრიული წარმოება, მართვის და განვითარების ცენტრები, ფინანსები, გაყიდვები, მარკეტინგი და სხვა. დასაქმების განვითარებადი სეგმენტები იქნება: უპილოტო ტრანსპორტი, ეკოლოგიური და ცირკულარული წარმოება, მაღალპერსონალური სერვისები, მართვის ჰორიზონტალური სტრუქტურები, ავტონომიური კიბერფიზიკური სისტემები [Навики будущего. 2017]. ასე რომ ბევრი რამ ადამიანებზეა დამოკიდებული, - რას ისწავლიან, როგორ ისწავლიან და რა უნარებს გამოიმუშავებენ.

მომავლის დასაქმებადი პროფესიები იქნება [Будущее... 2030]: სამედიცინო რობოტების დამპროექტებელი, კოსმოტურიზმის მენეჯერი, ბიოინფორმატიკოსი,

3D - ბექედვის დამპროექტებელი, ციფრული ტუტორი (მრჩეველი), ციფრული ანალიტიკოსი, ციფრული ლოგისტიკოსი, ციფრული ლინგვისტი, ონლაინ პლატფორმების კორდინატორი, IT - ჟურნალისტი, IT - მედიკოსი, IT - იურისტი, ურბანისტ IT - ეკოლოგი, კომპოზიტ-ინჟინერი, ციფრული პროდიუსერი, კონცეპტ-მხატვარი (გართობის ინდუსტრიის დიზაინერი) და მრავალი სხვა.

გაქრობა ემუქრება ისეთ პროფესიებს, რომლებიც ამჟამად გამოყენებაშია: მოლარე, ნოტარიუსი, არქივარიუსი, საქმის მწარმოებელი და სახვა.

მომავლის პროგნოზით გაიზრდება მოთხოვნა ისეთ სპეციალობებზე, რომელთაც შეეძლება [ჯოლია. 2021]:

- კრეატიული, ანალიტიკური და კრიტიკული აზროვნება;
- მათემატიკური ინსტრუმენტების აქტიური გამოყენება;
- „დიდ მონაცემებთან“ აქტიური მუშაობა;
- არასტანდარტული ამოცანების გადაწყვეტა და ა. შ.

ამ ჩამონათვალდიან ჩანს, რომ მოთხოვნადი გახდება ხელოვნური ინტელექტის სისტემაზე დაფუძნებული კოგნიტური უნარები (მათემატიკური აზროვნება, ლოგიკური და კრეატიული აზროვნება, პრობლემის ოპერაციულად გადაწყვეტის უნარი, წინასწარხედვის უნარი, სწრაფი აზროვნება), სოციალურ-ქცევითი უნარები (გუნდში მუშაობის უნარი, თვითრეგულირება, ახალი გამოცდილების მიღების მზადყოფნა და სხვა) და ტექნიკური უნარები (კონკრეტული პროფესიით მუშაობის უნარი, მანქანა-მექანიზმებთან და მასალებთან მუშაობის უნარი) [Цифровые дивиденды.. 2016].

მართალია ეს ჩამონათვალი არსებობს, მაგრამ მათგან რომელი იქნება უპირველესად საჭირო ჯერ-ჯერობით უცნობია. ფაქტიერთია, რომ თუ პროფესიებში დომინანტი ასეთი უნარები გახდება, მაშინ, ახალგაზრდებს მას განათლება უნდა აძლევდეს. ასე რომ, დღევანდელი განათლების ორიენტირება ამ მიმართულებით შეცვლას მოითხოვს.

The "Big Six" arose at a meeting of the heads of state and government of France, the USA, Great Britain, Germany, Italy and Japan in Rambouillet on November 15-17, 1975 (since the early 70s, similar meetings were held at the level of finance ministers).

The idea of holding meetings of leaders of the most industrialized countries in the world arose in the early 70s in connection with the economic crisis and the deterioration of relations between the United States, Western Europe and Japan on economic and financial issues. The meeting adopted a Joint Declaration on Economic Issues, which calls for non-aggression in the trade area and a refusal to establish new discriminatory barriers.

The Chairman of the Eight is, during each calendar year, the head of one of the member countries in the following rotation order: France, USA, Great Britain, Russia (since 2006), Germany, Japan, Italy, Canada (since 1981).

The G8 is accused of being elitist, undemocratic and hegemonic. In June 2002, during a summit in Canada, a counter-summit was held in Mali - a meeting of activists of the anti-globalization movement from Africa, Europe, and America. In 2003, in the French town of Annas, parallel to the G8 summit in Evian, another forum of anti-globalists was held, the agenda of which completely copied the program of the official meeting in Evian. Anti-globalists insisted on the need to discuss alternative programs for world development and governance, which would be more humane and take into account the real needs of the majority of the world's population.

Literature:

- 1]. Gaja, Giorgio (9 December 2011). "Articles on the Responsibility of International Organisations". Audiovisual Library of International Law. United Nations - Office of Legal Affairs.

Retrieved 21 August 2019.

- [2]. G. Iremadze, *International Organizations*, Tb., 2014.
- [3]. V. Karumidze, *international organizations*. Tb., 2003.
- [4]. Z. Marshania. *International organizations*, Tb., 2012
- [5]. Koremenos, Barbara; Lipson, Charles; Snidal, Duncan (2001). "The Rational Design of International Institutions" (PDF). *International Organization*. 55 (4): 761–799. doi:10.1162/002081801317193592. ISSN 0020-8183. JSTOR 3078615. S2CID 41593236. Archived (PDF) from the original on 22 April 2023.
- [6]. Lavelle, Kathryn C. (2020). *The Challenges of Multilateralism*. New Haven: Yale University Press. ISBN 978-0-300-25232-3. OCLC 1149484630.
- [7]. Muntzschick, Johannes, ed. (2022). *Regionalism in Africa and External Partners: Uneven Relationships and (Un)Intended Effects*. Cham: Springer International Publishing. doi:10.1007/978-3-031-10702-3. ISBN 978-3-031-10701-6. S2CID 252751858.

Гурам Мархулия

Доктор истории, профессор Сухумского Государственного университета (Грузия)

РОЛЬ И ЗНАЧЕНИЕ МЕЖДУНАРОДНЫХ ОРГАНИЗАЦИЙ В МИРОВОЙ ПОЛИТИКЕ

Резюме

Внешнеполитические приоритеты современной Грузии определяются задачей интеграции страны в европейские и евроатлантические структуры, в том числе в НАТО, в более отдалённой перспективе — в Европейский союз (в рамках этого направления в июле 1999 года вступило в силу Соглашение о партнёрстве и сотрудничестве между Грузией и Евросоюзом). Грузия участвует в программе НАТО «Партнёрство во имя мира».

Грузия является членом ООН (с 1992 года) и ряда её специализированных организаций (ЮНЕСКО, ЮНИДО, ВОЗ, ФАО, МФСР, МОТ, ИКАО, МСЭ, ВПС, ВОИС, ВМО, МАГАТЭ, МБРР, МФК, МВФ, МАР и других), ОБСЕ (с 1992 года), Интерпол, ВТО (с 1999 года), СНГ (в 1993-2009 годах), ГУАМ, ОЧЭС и другие.

Наряду с государствами важнейшим субъектом мировой политики являются международные организации. Международная организация — это стабильная, структурированная форма сотрудничества ее членов, созданная на добровольной основе для совместного решения общих проблем и функционирующая в рамках устава. Наиболее фундаментальный критерий классификации международных организаций — характер членства. По этому критерию выделяют межправительственные межгосударственные организации, создаваемые государствами на основе договоров, и неправительственные институты и граждан и ряда государств.

Международные организации — явление историческое и динамично развивающееся. Заметное повышение их активности произошло уже в XIX веке в связи с наличием значительного количества суверенных государств; интенсификацией контактов между ними; обеспокоенностью проблемами, возникающими в результате этих контактов; осознанием необходимости создания международных институтов для систематического регулирования отношений между государствами.

კულტურული მემკვიდრეობის პოტენციალის ეფექტურობა ბიზნეს გარემოს ფორმირებისთვის

მაია ჯამბაზიშვილი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის დოქტორანტი

DOI: <https://doi.org/10.52340/gbsab.2024.50.07>

საკვანძო სიტყვები: კულტურა; მემკვიდრეობა; კულტურული მემკვიდრეობა; კულტურული ინდუსტრია; შემოქმედებითი ინდუსტრია;

შესავალი

ბიზნეს გარემოს გაუმჯობესებისა და განვითარების ახალი რესურსების ძიებაში უმნიშვნელოვანეს გამოწვევად ისახება კულტურული მემკვიდრეობის პოტენციალის ათვისება - ამის მაგალითს მსოფლიოს განვითარებული ქვეყნები გვაძლევენ, სადაც კულტურა და კულტურული მემკვიდრეობა დიდი ხანია საერთო ეკონომიკური აღმშენებლობის უმნიშვნელოვანეს ფაქტორად გვევლინება.

შევეცდებით წარმოვადგინოთ ბიზნეს გარემოს განვითარების რა დინამიკა შეიძლება შექმნას კულტურული მემკვიდრეობის მცნების თანამედროვე, ფართო მნიშვნელობით გაანალიზებამ და რა ინტეგრირებული პროცესების განვითარებას შეიძლება შეუწყოს ხელი წარმოების სხვადასხვა მიმართულებით; თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა შეიძლება შეიძინოს კულტურული მემკვიდრეობის სხვადასხვა აქტორების კომპლექსურმა, შინაარსობრივმა, თემატურმა თუ საერთო ფორმატით გაერთიანებამ და ერთ ლოკაციზე ხელსაყრელი ფაქტორების საერთო ხედვით რეკომპოზიციამ როგორ შეიძლება შეიძინოს ეროვნული მნიშვნელობის ბიზნეს აქტორის ბერკეტები.

ძირითადი თემა

კულტურული მემკვიდრეობა მოიცავს ძეგლებსა და სხვადასხვა ნივთების კოლექციების, ტრადიციებსა და ზეპირმეტყველების ნიმუშებს, საშემსრულებლო ხელოვნებას, სოციალურ პრაქტიკებს, რიტუალებსა და სადღესასწაულო ღონისძიებებს, ბუნებასთან და სამყაროსთან ურთიერთობის ცოდნასა და წეს-ჩვეულებებს - რომლებიც მემკვიდრეობით მივიღეთ ჩვენი წინაპრებისგან და გვაქვს მისწრაფება - გადაეცეს ჩვენს შთამომავლებს, უფრო ფართო თვალსაზრისით კი - კაცობრიობის მომდევნო თაობებს.

საქართველო მსოფლიოს ერთ-ერთი გამორჩეული ქვეყანაა კულტურული მემკვიდრეობის სიმრავლისა და მრავალფეროვნების მხრივ. ამ უდიდეს პოტენციალს კიდევ უფრო მნიშვნელოვანს ხდის ქართველი ხალხის უშრეტო შემოქმედებითი უნარები, გენეტიკური მემკვიდრეობითი ცოდნა, ესთეტიზმის გრძნობა და ისტორიულ ქარტეხილებს გამოტარებული ემოციური ინტელექტი.

ეს მოცემულობა ქართული სახელმწიფოს წინაშე გარდაუვლად სწორად ამოსახსნელ ამოცანას აყენებს - კულტურის პოლიტიკა წარიმართოს მაქსიმალურად რაციონალურად: არამხოლოდ დავიცვათ და მომავალ თაობებს გადავცეთ ისტორიული ქარტეხილებიდან დამოუკიდებელ, ევროკავშირის წევრობის კანდიდატ საქართველომდე მოღწეული კულტურული მემკვიდრეობა, არამედ მართებულად გამოვიყენოთ მისი პოტენციალი ქვეყნის მდგრადი და შეუქცევადი განვითარებისათვის,

ბიზნესის/წარმოების ამუშავებისა და დასაქმების ადგილების შექმნისათვის, ქვეყნის აქტუალიზაციის, დოვლათის შექმნისა და ძლიერი, თანამედროვე სახელმწიფოს ჩამოყალიბებისათვის.

საგულისხმო მონაცემებს გვაწვდის ევროკავშირის აღმოსავლეთპარტნიორობის კულტურის სექტორის დოკუმენტებში: შემოქმედებითი ევროპის მონაცემებით, კულტურული და შემოქმედებითი ინდუსტრიები ეს არის მსოფლიოს შიდა პროდუქტის 4,5%, ყოველწლიური 10% იანი ზრდით, უზრუნველყოფს სამუშაო ადგილებით ევროკავშირის 8,3 მილიონ მოქალაქეს, საერთო შემოსავლით 558 მილიარდი ევრო.

საქართველოში კი პირველადი და გადაუჭრელი ამოცანა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების გადარჩენაა. კულტურული ინდუსტრიების განვითარების რისკებს შორის მოიაზრება ასევე მწირი, ძირითადად ტურიზმზე დამოკიდებული ბაზარი, სპონსორობის რეგულაციების არ არსებობა, მწირი საფონდო რესურსები, კულტურის მენეჯმენტში არასაკმარის განათლება, ბიუჯეტის განკარგვისას არათანმიმდევრულობა, ერთჯერად ღონისძიებებზე თანხების ხარჯვა, სახელმწიფოს საერთო განვითარებაში ინტეგრირებული კულტურის პოლიტიკის არ არსებობა.

ქართული კულტურული მემკვიდრეობის მართვაში სიახლეები მაინც არის - თვალსაჩინოა ქართული სამუზეუმო სფეროს მიღწევები, რაც ჯილდოებით აღინიშნა: ევროპის წლის მუზეუმის პრემია 2023 წელს ორ ქართულ მუზეუმს გადაეცა: კატეგორიაში – The Silletto-ს პრიზი საზოგადოების მონაწილეობასა და ჩართულობისთვის – ვანის არქეოლოგიურმა მუზეუმმა გაიმარჯვა; სპეციალური აღნიშვნის პრიზი კი ილია ჭავჭავაძის ლიტერატურულ-მემორიალურ მუზეუმს გადაეცა.

საქართველოს ეროვნული მუზეუმის განსაკუთრებული ძალისხმევა ქართული კულტურული მემკვიდრეობის ევროპულ პლატფორმებზე წარმოსაჩინად ხელშესახებ ბენეფიტად უზრუნველბა ქართული ბიზნესის განვითარებას. რისი საუკეთესო მაგალითია პროექტი “საქართველო ღვინის სამშობლო”.

განსაკუთრებულია ასევე ქართული სამუზეუმო კულტურული მემკვიდრეობის გამორჩეული ნაწილის - ნიკო ფიროსმანის შემოქმედების უდიდესი წარმატებით გამოფენა 2018-2023 წწ. ავსტრიის, დანიის, საფრანგეთისა და შვეიცარიის საუკეთესო საგამოფენო სივრცეებში.

ამ გამოფენების ფარგლებში სამუზეუმო მაღაზიებში წარმოდგენილ თემატურ პროდუქციას შორის პირველად მოხვდა ქართველი ანტრეპრენიორების მიერ შემქნილი ნაწარმი.

კულტურული მემკვიდრეობა ობიექტის შექმნით იწყება, შემდეგი პროცესებია: იდენტიფიკაცია → კონსერვაცია/რესტავრაცია → გამოფენა → მედიაცია → ვალორიზაცია - ფასეულობის შექმნა. ფასეულობად ქცეული კულტურული მემკვიდრეობა ახალი-ახალი ინსპირაციების, ახალი ფასეულობების შექმნის უშრეტ წყაროდ გარდაქმნება.

ამ მხრივ ფიროსმანის ფენომენი გამორჩეულია მისი ინსპირაციით შექმნილიწარმოები შემოქმედებით მეწარმეობის არაერთ დარგს მოიცავს: კინო, თეატრი, ბალეტი, მუსიკა, მწერლობა, მხატვრობა, ციფრული ტექნოლოგიები, ვიდეო არტი, გასტრონომია, კრაფტ-მეწარმეობა და ა.შ.

არსებობს ამ უდიდესი პოტენციალის რეალიზაციის მცდელობა პროექტის “ფიროსმანია” სახით, რომელიც შემეცნებითი, შემოქმედებითი, გასართობი, სანახაობითი, სამეწარმეო აქტივობების განხორციელებით მიმდინარეობს.

“ფიროსმანიას” ერთ-ერთი მიმართულებაა თემატური კულტურული მარშრუტის

შექმნა - მოიცავს ფიროსმანთან დაკავშირებული ყველა ლოკაციის გაერთიანებით. მათ შორის მოიაზრება საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო ქალაქი - სიღნაღი. 2007 წლის განმახლებელი სამუშაოების ფარგლებში სიღნაღის მუზეუმში ნიკო ფიროსმანის ნამუშევრების ნაწილის განთავდა. შეიქმნა მნიშვნელოვანი მოცემულობა ერთიანი, მრავალკომპონენტური შემოქმედებითი მეწარმეობის ეკოსისტემის განვითარებისათვის ადგილობრივი სტეიკჰოლდელების, არქიტექტურის, ტურისტული, ისტორიული, ბუნებრივი მოცემულობების გაერთიანებით.

ამ მიზნით 2022 წლის სექტემბერში სსიპ შემოქმედებითი საქართველოს კონკურსში - რეგიონალური ინიციატივები - გამარჯვების შედეგად შესაძლებელი გახდა ფესტივალის “ფიროსმანია სიღნაღში” საპილოტე ვერსიის განცორციელება.

ღია ცის ქვეშ ფესტივალმა გაართიანა შემოქმედებითი, სახელოვნებო, სანახაობითი, გასართობი, თეატრალური, საგამოფენო, სამხატვრო, კულინარიული, შემეცნებითი, ფოტო/ვიდეო აქტივობები.

ფესტივალში მონაწილეობდნენ: 50 ზე მეტი კრაფტ მეწარმე, სიღნაღის თეატრი, სიღნაღის სამხატვრო სკოლა, სოციალური საწარმო, სასტუმრო, სიღნაღის მუზეუმი, გურჯაანის ტექნოპარკი, კერძო კომპანიები, საქართველოს ეროვნული მუზეუმი, სიღნაღის მერია, საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო, საქართველოს პარლამენტი (მხარდამჭერი). პროექტის ბიუჯეტი - 21 000 ლარი. აქედან: სსიპ შემოქმედებითი საქართველო - 15 000 ლარი კრაფტ-მარკეტის გაყიდვები ≈ 10 000 GEL დასაქმებული ≈ 30 ადამიანი ღონისძიების სტუმარი დაახლოებით 1000 ადამიანი

დასკვნა

მსოფლო გამოცდილებისა და ქართული კულტურული მემკვიდრეობის პოტენციალის გათვალისწინებით, სრულიად გადაუდებელ ამოცანად გვესახება კულტურის პოლიტიკის წარმართვა კულტურული მემკვიდრეობის ვალორიზაციისა და მისი შესაძლებლობების რაციონალური რეალიზაციის გზით. ქართული კულტურული მემკვიდრეობა უნიკალურია არა მხოლოდ შინაარსობრივად, არამედ მას გააჩნია უდიდესი შესაძლებლობები ეფექტურად იყოს ინტეგრირებული ქვეყნის ბიზნეს გარემოს გაუმჯობესებაში, სამუშაო ადგილების შექმნაში, ახალი ბიზნეს იდეების, ანტრეპრენიორული მიზანსწრაფების გაჩენასა და განხორციელებაში. კულტურის სფეროს განხილვა დოტაციურ დარგად სრულიად მოძველებული მიდგომაა. თანამედროვე გამოწვევების პირისპირ, რასაც ბოლო წლებში კიდევ ერთი და ძალზედ ანგარიშგასაწევი - ხელოვნური ინტელექტის ფაქტორი დაემატა, კულტურული მემკვიდრეობა არამხოლოდ ჩვენი იდენტიფიკატორი, არამედ მოქმედებაში მოსაყვანი რესურსია.

ბიბლიოგრაფია:

[1]. Bräutigam D. The Dragon's Gift: The Real Story of China in Africa. New York: Oxford University Press, 2009.

[2]. Moyo, L. & Tsakata Mafuso, L. The effectiveness of foreign aid on economic development in developing countries: A case of Zimbabwe (1980-2000). Journal of Social Sciences. 2017. 52(1-3). 173-187.

[3]. Салахетдинов Е.Р. Влияние внешних факторов на кризис в Зимбабве в начале XXI века. Дисс. 2015.

[4]. Салахетдинов Э.Р. Зимбабве и Китай: риски и преимущества сотрудничества //

Азия и Африка сегодня. 2014. № 9. С. 54-60.

[5]. Zhang C. China-Zimbabwe Relations: A Model of China-Africa Relations? // SAIIA Occasional Paper. 2014. №. 205.

[6]. Sachikonye, L. Zimbabwe and China. In Hartmann, C., & Noesselt, N. (eds), China's New Role in African Politics: From Non-intervention towards Stabilization? Taylor & Francis, London. 2019.

რეზიუმე

სტატიაში განხილულია კულტურისა და კულტურული მემკვიდრეობის პოტენციალის თანამედროვე ხედვა და ამ ხედვით განპირობებული კულტურისა და კულტურული მემკვიდრეობის სფეროს ქვეყნის საერთო განვითარებაში ინტეგრირების შესაძლებლობები. ეს საკითხები ჩვენი ქვეყნის პირობებში უმნიშვნელოვანეს გამოწვევად გვესახება და დღევანდელი მოცემულობით ბევრად ჩამორჩება მსოფლიოს განვითარებული ქვეყნების მაგალითებს. მსოფლიოს მოწინავე ეკონომიკების ქვეყნებში კულტურის სფერო და მათ შორის, განსაკუთრებით კულტურულ მემკვიდრეობაზე დაფუძნებული მეწარმეობა - იგივე შემოქმედებითი მეწარმეობა სამუშაო ადგილების შექმნის, განვითარების ტემპის, საერთო ეკონომიკური დოვლათის შექმნაში ტოლს არ უდებს მრეწველობის წამყვან დარგებს და ხშირ შემთხვევაში მათთვის განვითარების ახალი ინსპირაციის მიმცემად და კონტენტის შემქმნელადაც გვევლინება. ნიშნადობლივია, რომ მსოფლიოს მძლავრი ეკონომიკის ქვეყნებში კულტურის სფეროში მიმდინარე ეკონომიკური პროცესების აღსაწერად გამოყენებული ტერმინი - კულტურული მეწარმეობა ჩვენში ჯერ კიდევ გაურკვეველ ასოციაციებს იწვევს და კულტურის სფეროს პოტენციალის შეუფასებლობა ამ დარგის მიმართ სახელმწიფოს განვითარებაში შეტანილი წვლილის პოტენციალი სრულიად უგულვებელყოფილია, ხოლო თავად სფერო ჯერ კიდევ მხოლოდ და მხოლოდ დოტაციურ სეგმენტად არის მიჩნეული. იმის გათვალისწინებით, რომ ჩვენი ქვეყნის უდიდეს რესურსს კულტურა და კულტურული მემკვიდრეობა წარმოადგენს, აუცილებელ პირობად გვესახება ამ დარგის პოტენციალის ზუსტად შეფასება და ქვეყნის განვითარებაში ინტეგრირებისათვის უმნიშვნელოვანესი პროცესის ინიცირება. განსაკუთრებულ ყურადღებას კი ამ პროცესის სწორი წარმართვისათვის ხელშეწყობა გვესახება - როდესაც კულტურული მემკვიდრეობა არამხოლოდ თვითიდენტიფიკაციის განმსაზღვრელი ფასეულობაა, არამედ მძლავრი ეკონომიკური ფაქტორი. თუ რა გავლენა შეიძლება მოახდინოს კონკრეტული ქალაქის, მდგრადი განვითარების პირობებში კი მხარისა და ქვეყნის ეკონომიკური განვითარებაზე კულტურისა და კულტურული მემკვიდრეობის პოტენციალმა, განვიხილავთ კონკრეტული მაგალითის საფუძველზე.

RESUME:

The article discusses the modern vision of the potential of culture and cultural heritage and the possibilities of integrating the field of culture and cultural heritage into the overall development of the country. These issues are the most important challenges in the conditions of our country and in today's situation it is far behind the examples of the developed countries of the world. In the advanced economies of the world, the sphere of culture and among them,

especially the entrepreneurship based on cultural heritage - the same creative entrepreneurship as the pace of job creation and development. It is not equal to the leading branches of industry in the creation of a common economic state, and in many cases it is a source of new inspiration for development and a creator of content. It is significant that the term used to describe economic processes in the field of culture in the world's powerful economies - cultural entrepreneurship still evokes unclear associations in us, and the underestimation of the potential of the field of culture, the potential of the contribution to the development of the state in relation to this field is completely neglected, and the field itself is still only a subsidized segment. is considered Considering that the greatest resource of our country is culture and cultural heritage, it is necessary to accurately assess the potential of this field and to initiate the most important process for integrating it into the development of the country. Special attention is paid to support for the correct conduct of this process - when cultural heritage is not only a defining value of self-identification, but also a powerful economic factor. Based on a specific example, we will consider what influence the potential of culture and cultural heritage can have on the economic development of a specific city, and under the conditions of sustainable development, of the country and the country.

სოციალური მედიის როლი კრიზისულ კომუნიკაციაში - პროფესიული მედიის გამოწვევა

ხათუნა კაჭარავა

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სოციალურ და ჰუმანიტარულ
მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი

ფატი მამიაშვილი

კრიზისული კომუნიკაციის მკვლევარი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის
სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მასობრივი
კომუნიკაციის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის დოქტორანტი

DOI: <https://doi.org/10.52340/gbsab.2024.51.14>

საკვანძო სიტყვები: კრიზისული კომუნიკაცია, სოციალური მედია, პროფესიული მედია, კლასიკური მედია, BBC

შესავალი:

გავრცელებული მითი, რომლის მიხედვით კრიზისული კომუნიკაცია მოიცავს მხოლოდ მედიასთან ურთიერთობას (Zaremba, 2015), არ შეესაბამება რეალობას, რადგან: პროფესიული მედია კრიზისული კომუნიკაციის გავლენიანი მოთამაშე და დაინტერესებული მხარეა, მას შეუძლია სწრაფად გაავრცელოს გზავნილები მასობრივი აუდიტორიისთვის და გახდეს კრიზისში მყოფი ორგანიზაციის ღირსეული მოკავშირე, თუმცა კრიზისულ კომუნიკაციაში ის არ არის ერთადერთი აუდიტორია, რადგან ასევე მნიშვნელოვანია სხვა აქტორებიც - თანამშრომლები, კონკურენტები, მომხმარებლები და სოციალური მედიის ვირტუალური საზოგადოება. ასევე არსებობს რისკი, რომ „ცუდ სიტუაციაში“ „კარგი პრესის“ შექმნა ნეგატიურად აისახება კრიზისის შედეგებსა და ზოგადად, გარემოზე (Zaremba, 2015, pp. 37-40).

რა როლი აქვს კრიზისულ კომუნიკაციაში პროფესიულ მედიას და როგორ ზემოქმედებს მასზე სოციალური მედიის რესურსები? - აღნიშნული საკითხის შეფასებამდე მოკლედ შევაჯამოთ კრიზისულ კომუნიკაციაში კრიზისისა და კომუნიკაციის კონცეფციები:

კრიზისულ კომუნიკაციაში კრიზისის განისაზღვრება, როგორც არაპროგნოზირებადი მოვლენა, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს დაინტერესებული მხარეების მოლოდინის რღვევა (Coombs, 2007). ამასთან, კრიზისი ან კრიზისის საფრთხე ქმნის ინფორმაციის მოთხოვნილებას. ინფორმაციის შეგროვება, დამუშავება და გაზიარება კი მხოლოდ კომუნიკაციის საშუალებით ხდება.

ამდენად, კრიზისულ კომუნიკაციაში კომუნიკაცია არის კრიზისის მართვის არსი (Coombs & Holladay, 2010) და „თანამშრომლობის ინსტრუმენტი“, რომელსაც შეტყობინების გამგზავნიც და მიმღებიც სხვადასხვა მიზნის მისაღწევად, პრობლემების გადასაჭრელად, სხვებზე გავლენის მოხდენისა და მოქმედებების კოორდინაციისთვის იყენებენ (Sellnow, Seeger, 2013, p. 12). კომუნიკაცია, როგორც ცოდნისა და აზროვნების გზა გამგზავნიდან ადრესატამდე ფილტრაციას ან ინტერპრეტაციას განიცდის მასობრივი კომუნიკაციის საშუალებების გავლით. ამიტომაცაა, რომ საზოგადოებრივი

ევოლუციის კომუნიკაციურ ცვლილებებში სწორედ პროფესიულ მედიას აქვს უდიდესი და გარდამტეხი როლი.

დისკუსია:

წარმოვიდგინოთ საზოგადოება, სადაც არ არსებობდა მედია და ყველა კომუნიკაცია ინტერპერსონალური იყო. ყველაფერი, რის გაგებაც ადამიანებს სურდათ ან სჭირდებოდათ, მათ შორის ახალი ამბები, ხუმრობები, მოთხრობები და სიმღერებიც კი - მხოლოდ ინდივიდებს შორის პირდაპირი კომუნიკაციით იყო ხელმისაწვდომი. ამ გადმოსახედიდან, ეს ისეთივე ძნელად წარმოსადგენი რეალობაა, როგორც წარმოსახვითი საზოგადოების საპირისპირო ტიპი, რომელშიც მხოლოდ მასობრივი მედიის საშუალებები იარსებებდა და არა - პირისპირ კომუნიკაცია (Wright, 1974, pp. 199-200), რადგან:

მედია - ეს არის კულტურული მეხსიერება (მოგონებები) აწმყოში. ის, რაც ჩვენ ვიცით სამყაროსა და საზოგადოების შესახებ, ვიცით მასმედიისგან. მედიის მიერ გავრცელებული ინფორმაცია, წყაროების სანდოობასთან დაკავშირებული ეჭვების არსებობის მიუხედავად, გამოყენებული უნდა იქნას, როგორც როგორც საწყისი (Luhmann, 2000). სწორედ „დიდი მასშტაბის კომუნიკაციურმა ქსელებმა“ ანუ ტექნოლოგიურმა ევოლუციამ გამოწვია ცვლილებები ვერბალურ და წერილობით კომუნიკაციაში და წარმოშვა მსოფლიო საზოგადოების პირმშო - მასობრივი კომუნიკაცია.

დროთა განმავლობაში, ინფორმაციული საზოგადოების ცნობიერებასა და ქცევაზე მედიის გავლენა იმდენად გაიზარდა, რომ კრიზისში მყოფი ინსტიტუციები მიიღებდნენ ჯერ - პრესის, მოგვიანებით კი - რადიოსა და ტელევიზიისკენ თანამშრომლობის, თანამოაზრობისა და მხარდაჭერის მოტივით. მედია ყოველთვის იყო გავლენიანი პარტნიორი ანოპონენტი კრიზისულ კომუნიკაციაში, თუმცა მსოფლიო საზოგადოებისკენ გადადგმულ „უდიდეს ნახტომს“ მოჰყვა თავად კომუნიკაციის სფეროში მომხდარი ცვლილებები - თანამედროვე მედიას ტექნოლოგიებმა ნებისმიერი რაოდენობის მიმღების არსებობისა და სწრაფი უკუკავშირის შესაძლებლობა მისცა, რის გამოც გაჩნდა ტერმინები „ძველი“ და „ახალი“ მედია.

„ახალ მედიას“ „ძველისგან“ განასხვავებს მულტიმედიური კონტენტის, მანუელ კასტელის შეფასებით, ინტერნეტზე დაფუძნებულმა კომუნიკაციამ მოახდინა ბექდური მედიის, ტელევიზიებისა და რადიოინდუსტრიის „ნიუსრუმების“ ტრანსფორმაცია, ნებისმიერი სახის ინფორმაციის ციფრულად გარდაქმნის აუცილებლობის გამო. ციფრული ტექნოლოგიების გავლენით მივიღეთ „მასობრივი თვითკომუნიკაცია“, ანუ ღია რესურსების წვდომაზე დამყარებული პროგრამული უზრუნველყოფა და მრავალფორმიანი ციფრული კონტენტი, რომელსაც მარტივად ჩამოტვირთვის, დაფორმატებისა და უკაბელო ქსელებით გავრცელების ფუნქცია აქვს (ბერძენიშვილი, 2019, გვ. 303). მულტიმედია კონგლომერატების საჯაროობის სტრატეგიები კი მიმართულია მათი მიმდინარე პროდუქტების მაქსიმალური ყურადღების მიქცევისკენ - რაც შეიძლება მეტ მედიაში და მრავალი ფორმით - ინტერვიუების, ახალი ამბების, ფოტოების, სტუმრების ბლოკით, სოციალური მედიის საიტებით და ა.შ (McQuail, 2010, გვ. 65).

თანამედროვე საინფორმაციო მედია მუშაობს მრავალ პლატფორმაზე, ხოლო ახალი ამბებისა და ინფორმაციის წარმოება და გავრცელება შესაძლებელია მთელ მსოფლიოში სწრაფი ტემპით, რაც ქმნის იმის შესაძლებლობას, რომ „ადგილობრივი“ ამბავი გლობალური გახდეს. ეს ასევე ნიშნავს ძველი გამონათქვამის - today's newspaper is tomorrow's fish and chip wrapper - დასასრულს, რადგან, ერთი მხრივ, მედიის

კონტენტი არქივდება ციფრულ სივრცეში, ახალი ამბების ვებსაიტებიდან Google-სა და ბლოგებში (Sheehan & Quinn-Allan, 2015) და მეორეს მხრივ, სიახლეები, რომლებიც დღეს აქტუალური და მნიშვნელოვანია, ხვალ შეიძლება უსარგებლო და სწრაფად დავიწყებადი გახდეს ინფორმაციის სისწრაფისა და სიჭარბის გამო.

ამდენად, როცა ნებისმიერი მედიასაშუალებების კონტენტი ციფრულია, როცა წაიშალა ზღვარი ტრადიციულსა და ონლაინ მედიუმს შორის, პროფესიულ მედიას შეგვიძლია ვუწოდოთ კლასიკური მედია, რომლის კონკურენტი არის სოციალური მედია (ვებგვერდებისა და აპლიკაციების ერთობლიობა - ფოკუსირებული კომუნიკაციაზე, საზოგადოებრივ მოსაზრებებზე, ინტერაქციაზე, კონტენტის გაზიარებასა და კოლაბორაციაზე).

მთავარი გამოწვევა, რომელიც სოციალურმა მედიამ კლასიკურ მედიას შეუქმნა, არის ინფორმაციის სისწრაფე, კომუნიკაციის ორმხრივობა, ინტერაქცია. ციფრული მედიის მომხმარებელი გადაიქცა ინფორმაციის პასიური მიმღებიდან აქტიურ მოთამაშედ, რომელსაც სურს არა მხოლოდ თვალყური ადევნოს ინფორმაციის ნაკადებს, არამედ ჩაერთოს და მონაწილეობა მიიღოს კრიზისული კომუნიკაციის პროცესებშიც.

სოციალური მედიის გავლენით, კლასიკური მედიის ნდობა თანდათან მცირდება, რაც დასტურდება არაერთი კვლევით. გლობალური საკომუნიკაციო ჰოლდინგის - Edelman Trust Barometer-ის 2017 წლის მონაცემებით, აშშ-ის მოსახლეობის 64%-ისთვის გაჟონილი ინფორმაცია უფრო დამაჯერებელი იყო, ვიდრე მედიის განცხადებები. Trust Barometer-ის შედეგებმა ასევე აჩვენა, რომ გამოკითხულთა 68% კომპანიის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაზე მეტად სოციალურ მედიას ენდობოდა (Edelman, 2017). 2023 წლის მონაცემებით კი, 26 ქვეყანაში ჩატარებული გამოკითხვის შედეგად, მთავრობებს (50%) უნდობლობას უცხადებს 16 ქვეყნის მოსახლეობა, მათ შორის აშშ (42%), დიდი ბრიტანეთი (37 %), იაპონია (33%) და არგენტინა (20%). მედიას (50%) უნდობლობა აქვს 28 ქვეყნიდან 15-ში, მათ შორის გერმანიაში (47 %), აშშ-ში (43 %), ავსტრალიაში (38 %) და სამხრეთ კორეაში (27 %) (Edelman, 2023).

აღნიშნულ ტენდენციას ჰოლდინგი განიხილავს კრიზისული კომუნიკაციის საფრთხედ და ხაზს უსვამს საგანგაშო ტენდენციას - სისტემისადმი რწმენის აბსოლუტურ ნაკლებობას. ნდობის ბარომეტრის მიხედვით, იმ ოთხ ინსტიტუციურ საყრდენს შორის - მთავრობა, ბიზნესი, მედია და სამოქალაქო სექტორი) ყველაზე დაბალი სანდობით სწორედ მედია გამოირჩევა, რის გამოც Edelman Trust Barometer-მა დასვა მთავარი შეკითხვა: თუ ადამიანები ნაკლებად ენდობიან ორგანიზაციებს ჩვეულებრივი საქმიანობის დროს, როგორ დაუჯერებენ მაშინ, როცა საქმე შეეხება კრიზისს, ანუ მაშინ როცა „რადაც არასწორედ მოხდება“?

კრიზისის დროს მედიის, როგორც დაინტერესებული მხარის ქცევა არის კრიზისული კომუნიკაციის მკვლევრების დაკვირვების საგანი. მაგალითად, ახალი ამბების მედია (News media) ჩვეულებრივ, „მშვიდობიან“ დროს, კომუნიკაციაზე პასუხისმგებელ პირებს - PR მენეჯერებს თუ მარკეტოლოგებს უჭირთ კლასიკური მედიის ყურადღების მიქცევა, ხოლო კრიზისის დროს - პირიქით, მედია თავად პოულობს საკონტაქტო პირებს, რადგან „ცუდი ამბები“ კარგად იყიდება და ეს ყოველთვის ასე იყო (Fearn-Banks, 2007, p. 17).

სწორედ აქ ვლინდება კრიზისული კომუნიკატორების როლი. კრიზისის მართვის გუნდმა (CMT) უნდა იცოდეს ინფორმაციის შეგროვებასთან, ცოდნის შექმნასა და მართვასთან დაკავშირებული პრობლემების შესახებ და განახორციელოს შესაბამისი ქმედებები, რაც, პირველ რიგში, მოიცავს განცხადებებს მედიისთვის, რადგან მედია ყველაზე მეტად ახდენს ზეწოლას ორგანიზაციაზე კრიზისული ინფორმაციის

მისაღებად (Coombs, 2019, p. 107).

მთლიანობაში, მედიაში იძლევა განვიხილოთ, როგორც წარმოება, საზოგადოებრივი სამსახური და აგრეთვე პოლიტიკური ინსტიტუტი (ბერტრანი, 2004, გვ. 9). კლასიკური მედია, ერთის მხრივ, წარმოადგენს კრიზისული კომუნიკაციის ანგარიშგასაწევ, გავლენიან მოთამაშეს და დაინტერესებულ მხარეს, მაგრამ ამავდროულად, არის ბიზნესსამყაროს ნაწილი და შესაბამისად, დგას პოტენციური კრიზისის რისკის წინაშე. BBC-ის 2012 წლის გახმაურებული „ჯიმი სევილის საქმის“ მაგალითზე შევაფასებთ, როგორ იქცევა მედია, როცა თავად აღმოჩნდება კრიზისში.

ჯიმი სევილი, BBC-ის გამორჩეული სახე, ცნობილი ფილანტროპი და პოპულარული გადაცემების წამყვანი 2011 წლის ოქტომბერში, 84 წლის ასაკში გარდაიცვალა. სევილი, გარდა იმისა, რომ სარგებლობდა უსაზღვრო პოპულარობით, ასევე მეგობრობდა სამეფო ოჯახთან, გავლენიან პოლიტიკებსა და შოუბიზნესის ვარსკვლავებთან. ქველმოქმედებაში შეტანილი წვლილისთვის 1990 წელს რაინდის წოდებაც მიენიჭა (Nikolova, 2018, გვ. 119).

სევილის გარდაცვალებას მოჰყვა ყველაზე დიდი კრიზისი BBC-ის კორპორაციის ისტორიაში (Aust & Holloway, 2014). 2012 წლის ოქტომბერში ბრიტანულ ტელეწამყვანს ბრალი დასდეს პედოფილიაში. გამოძიებამ გამოავლინა ბავშვებსა და მოზარდებზე ძალადობის ფაქტები არა მარტო საავადმყოფოებში, სადაც სევილი საქველმოქმედო საქმიანობას ეწეოდა, არამედ BBC-ის შენობაშიც, სადაც ის 40 წლის განმავლობაში მუშაობდა (Shipp, 2015).

სევილის გარდაცვალების შემდეგ, BBC-ის გადაცემა Newsnight-მა ცნობილი წამყვანის პედოფილურ მიდრეკილებებთან დაკავშირებით გამოძიება დაიწყო, თუმცა მალევე შეწყვიტა, სარედაქციოო საბჭოს გადაწყვეტილებით, რამაც კიდევ უფრო გაამყარა ეჭვები, რომ გავლენიანი კორპორაცია და სიმართლეს მალავდა. ამის საფუძველს ნამდვილად ქმნიდა თავად ჯიმი სევილის ავტობიოგრაფიული წიგნი - *As It Happens* („როგორც ეს ხდება“), სადაც ავტორი დაუფარავად აღწერდა არასრულწლოვნებთან გართობის შემთხვევებს.

BBC-ის ქმედებები შეფასდა ბენოიტის „იმიჯის აღდგენის თეორიის“ მიხედვით, რამაც დაადასტურა, რომ „სევილის საქმესაც“ ახასიათებს ხუთი ეტაპი: უარყოფა, პასუხისმგებლობის თავიდან აცილება, შეურაცხყოფის შემცირება, მაკორექტირებელი ქმედება, მორტიფიკაცია. BBC შეეცადა „სევილის საქმის“ სხვა თემით გადაფარვას, რის შედეგადაც მიიღო სამმაგი კრიზისი: Newsnight-ის სკანდალი გამოიწვია სევილის შესახებ გამოძიების შეწყვეტამ (2011) და თითქმის იმავდროულად, BBC-იმ იმავე Newsnight-ის ეთერში პედოფილიაში უსაფუძვლოდ დაადანაშაულა ცნობილი კონსერვატორი. მკვლევართა შეფასებით, ლორდ მაკალპაინის სკანდალის შექმნით BBC-ის სურდა საზოგადოების ყურადღების გადატანა (Zheng, 2018).

BBC-იმ „ჟურნალისტურ წარუმატებლობაში“ დაადანაშაულა საკუთარი მენეჯერები, რედაქტორები და ჟურნალისტები, კრიზისულ სიტუაციაში ფაქტების გადამოწმების, გამჭვირვალობისა და პასუხისმგებლობის ნაკლებობის მოტივით, რაც შეფასდა, როგორც ორგანიზაციული პასუხისმგებლობის თავიდან აცილება - BBC-იმ „გასწირა“ თანამშრომლები და ჟურნალისტური სტანდარტები კორპორატიული რეპუტაციის შესანარჩუნებლად (Nikolova, 2018, გვ. 221).

როგორი იყო BBC-ის საპასუხო რეაგირება, ანუ ღიაობისა და გამჭვირვალობისკენ გადადგმული ნაბიჯი? BBC-იმ გამოაქვეყნა ე.წ Q&A კითხვა-პასუხის ფორმები კრიზისის დაწყებისა და განვითარების შესახებ, რითაც აუდიტორიას აცნობა არსებული ხარვეზების შესახებ. სევილის სკანდალი გახდა არაერთი კვლევის მიზეზი კრიზისული კომუნიკაციის კუთხით:

YouGov-მ, ლონდონის საერთაშორისო კვლევითი მონაცემებისა და ანალიტიკურმა ჯგუფმა, გამოაქვეყნა THE SUN-ის დაკვეთით ჩატარებული გამოკითხვის შედეგები 10 ბრიტანელიდან 7 ფიქრობდა, რომ BBC-იმ დამალა ჯიმი სევილის ძალადობრივი ქმედებები. 32%-მა თქვა, რომ BBC-ის მიმართ ნდობა შემცირდა, ხოლო 41% -მა აღნიშნა, რომ კვლავ ენდობოდა BBC-ის (MacLeod, 2012);

BBC-ის კრიზისული სიტუაცია შემოწმდა გიუნტერ ბენტელეს შკალის (Gunther Bentele's high) ნდობის ღირებულებების პრიზმით, რამაც გამოავლინა BBC-ისადმი ნდობის დაბალი მაჩვენებლები - კომპეტენციის, კომუნიკაციის, საჯარო ანგარიშვალდებულებისა და უტილიტარული ეთიკური პრაქტიკის ნაკლებობა. ხოლო კორპორაციის ნდობის აღდგენა მოხდა ეტაპობრივად - მენეჯმენტში საკადრო ცვლილებებით, კომუნიკაციის გამჭვირვალობით, საჯარო ინფორმაციაზე თავისუფალი წვდომისა და დოკუმენტაციის ვებგვერდზე ატვირთვით (Nikolova, 2018, გვ. 120);

BBC კრიზისი ასევე გახდა კარგი გაკვეთილი PR და მარკეტინგის სპეციალისტებისთვის, კრიზისულ სიტუაციებში მედიასა და ჟურნალისტებთან მუშაობის ტაქტიკის ანალიზის მხრივ. კვლევებმა დაადასტურა, რომ მედიასთან კომუნიკაციის ხუთი ძირითადი პრინციპი (5Fs - fast, factual, fair, frank, friendly) ეფექტურად მუშაობს კრიზისულ სიტუაციებშიც. შესაბამისად, კრიზისში მყოფი ორგანიზაცია მედიასთან კომუნიკაციის პროცესში უნდა იყოს სწრაფი, ფაქტობრივი, სამართლიანი, გულწრფელი და მეგობრული.

BBC-ის კრიზისმა დაადასტურა, რომ აუცილებელია კორპორაციებმა სტრატეგიულ დოკუმენტებში გაითვალისწინონ კრიზისის პრევენციისა და რისკების შეფასების მიდგომები. მნიშვნელოვანია, რომ კომუნიკაციის მართვის სტრატეგია არ ეყრდნობოდეს მხოლოდ მზა კრიზისულ გეგმებს და მორგებული იყოს უშუალოდ ორგანიზაციის კულტურაზე. ამასთან, ნდობის შენარჩუნება კომპანიისთვის უნდა იყოს ერთ-ერთი მთავარი მიზანი კრიზისის დასაწყისიდანვე, რადგან ნდობის საკითხი შეიძლება ჩაითვალოს არამატერიალურ კორპორატიულ კაპიტალად იმისთვის, რომ შენარჩუნდეს კომპანიის ლეგიტიმაცია საზოგადოებაში.

როგორი იყო სოციალური მედიის როლი სევილის სკანდალის გაშუქებისას? - პროფესიულ მედიაში გამოქვეყნებულმა მასალებმა საშუალება მისცა სოციალური მედიის პლატფორმებს გაეგრძელებინათ სევილის შესახებ ძველი ჟორები და ბრალდებები, რაც თავის მხრივ, კლასიკურმა მედიამ გამოიყენა თავისსავე პროფესიულ საქმიანობაში.

იმის გათვალისწინებით, რომ მედიაკრიზისები იშვიათად არის გამოკვლეული, BBC-ის კრიზისული კომუნიკაციიდან მიღებული გაკვეთილები საფუძვლად დაედო რეკომენდაციებს, როგორ უნდა განახორციელოს მედიაორგანიზაციამ კრიზისის მართვის გეგმა (Zheng, 2018).

BBC-ის ისტორიიდან მიღებული გაკვეთილები, როგორც რეკომენდაციები:

მედიაორგანიზაციას, როგორც ნებისმიერ კომპანიას, უნდა გააჩნდეს სამოქმედო გეგმა და პოლიტიკის დოკუმენტი, რომელსაც ის კრიზისში ეფექტურად გამოიყენებს;

მედიაკრიზისს, როგორც ბიზნესკრიზისების შემთხვევაში, ახასიათებს დამალვის, პასუხისმგებლობის თავიდან აცილების, გადაბრალების, ბოდიშის მოხდის და აღიარების ეტაპები, რომელთა შერბილება შესაძლებელია კრიზისული კომუნიკაციის თეორიებზე დაყრდნობით და შიდა სტრატეგიული დოკუმენტების შემუშავებით, რომელიც მორგებული უნდა იყოს ორგანიზაციულ კულტურაზე;

კრიზისები მწიფდება ბევრად ადრე, ვიდრე ის საჯაროდ გახდება ცნობილი. არასათანადო ან დაგვიანებული რეაგირების შემთხვევაში კი იზრდება სხვა

კრიზისების გაცოცხლების რისკები;

მედიაკრიზისი ხანგრძლივი პროცესია, რადგან ამ კრიზისის გმირი ხშირად ამავე მედიის კულტურული მეხსიერებისა და არქივის ნაწილია;

კრიზისის დროს მკვეთრად ეცემა კომპანიის იმიჯი, რაც დასტურდება კვლევებით და რეიტინგის შედეგების ანალიზით;

სოციალური მედია გავლენას ახდენს კრიზისის გაღვივებაზე, რადგან კლასიკური მედიის მიერ სოციალურ ქსელში გადატანილი ინფორმაცია ერთგვარი ანკესია ამბის უფრო მეტი დეტალის მოსაპოვებლად, რომლის ანარეკლიც ხშირად ისევ მედიაპროდუქტებში გვხვდება.

დასკვნა:

მედიაკრიზისის ბიზნესკრიზისებისგან განასხვავებს ვიზუალური და კულტურული მეხსიერება, საარქივო მასალები და მაყურებლის ემოცია. მედიაკრიზისის შემფასებელი - მკითხველი, მაყურებელი, მსმენელი ამავდროულად სოციალური მედიის მომხმარებელია და შესაბამისად, აქვს შესაძლებლობა, ყოველთვის გააცოცხლოს და განსჯის საგანი გახადოს ძველი კრიზისები.

ჯიმი სევილის სახელის სრულად განდევნა BBC-ის ვიზუალური მეხსიერებიდან შეუძლებელია, რადგან ის, მისი შემოქმედებითი საქმიანობის გამო, ყოველთვის დარჩება იმ მაყურებლის მოგონებებში, რომლებსაც ჰქონდათ ტელეწამყვანთან მკაფიო ემოციური კავშირი (ჯერ კიდევ 70-იან წლებში ჯიმი სევილის ჰყავდა 19 მლნ-იანი აუდიტორია). ამიტომ საარქივო მასალების განმეორებით ჩვენება ყოველ ჯერზე გააცოცხლებს კრიზისს. ამდენად, კრიზისი არ მთავრდება მაშინ, როცა პრობლემები თითქმის დაძლეულია. ციფრული პლატფორმები არის მთავარი სივრცე, სადაც ნებისმიერ დროს შესაძლებელია ძველი კრიზისების განახლება, ინტერპრეტირება და განმეორებადი კრიზისების საფრთხეების გაჩენა.

კრიზისული კომუნიკაცია მუდმივად მიმდინარე პროცესია, რადგან არ არსებობს განვლილი რისკი, რომელიც პოსტკრიზისში თავს არ შეგვახსენებს. რადგან ტექნოლოგია მხოლოდ ტექნოლოგიაა. იცვლება ინსტრუმენტები. ვითარდება ქსელები, იზრდება კონტენტის გამავრცელებელი მედიუმების რაოდენობა და სოციალური მედიის მომხმარებლის ქცევაც განიცდის ადაპტაციას (Solis, 2021). დიახ, ასეთია ციფრული კომუნიკაციების მომავალი, რომელშიც ჩვენ უკვე ვცხოვრობთ.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Aust, R., & Holloway, R. (2014). Online reactions to institutional crises: BBC Online and the aftermath of Jimmy Savile.
2. Coombs, T. W. (2007). Protecting Organization Reputations During a Crisis: The Development and Application of Situational Crisis Communication Theory. *Corporate Reputation Review*, Vol. 10, 3,, 163–176.
3. Coombs, T. W. (2019). *Ongoing crisis communication - planning, managing, and responding*, fifth edition. london: SAGE publishing Ltd.
4. Coombs, T. W., & Holladay, S. I. (2010). *The Handbook of Crisis Communication*. John Wiley & Sons Ltd.
5. Edelman. (2017 წლის 24 march). მოპოვებული www.edelman.com: <https://www.edelman.com/post/trust-barometer-crisis-communications-დან>
6. Edelman. (2023 წლის 15 iahnuary). მოპოვებული www.edelman.com: <https://www.>

- edelman.com/news-awards/2023-edelman-trust-barometer-დან
7. Fearn-Banks, K. (2007). *Crisis Communications - A Casebook Approach*, Third Edition. Washington, USA: University of Washington,;
 8. Luhmann, N. (2000). *The Reality of the Mass Media*. (K. Cross, რედ.) California: Stanford University Press.
 9. MacLeod, H. (2012 წლის 29 october). YouGov. მოპოვებული <https://yougov.co.uk>: <https://yougov.co.uk/politics/articles/4650-bbcs-handling-savile-case-დან>
 10. McQuail, D. (2010). *McQuail's MassCommunication Theory*. SAGE Publications Ltd.
 11. Nikolova, M. (2018). *Crisis PR and Media: PR Tactics for Communication with Journalists and Media*. A. Dytman-Stasieńko, & A. Węglińska-ში, *BIG DATA - Digital Marketing and Trendwatching* (გვ. 107-123). Wrocław: National Center for Research and Development,.
 12. Sellnow, Seeger, T. L. (2013). *Theorising crisis communication*. John Wiley & Sons.
 13. Sheehan, M., & Quinn-Allan, D. (2015). *Crisis Communication in a Digital World*. Cambridge University Press.
 14. Shipp, S. P. (2015). *Crisis Communication in an International Organization: An Investigation of the BBC's Reputation in the Aftermath of the Savile Scandal*.
 15. Solis, B. (2021 წლის 14 november). *Social Media Is About Sociology And Psychology Not Technology*. მოპოვებული https://www.briansolis.com/?s=social+media&post_type=post&search_button=Search-დან
 16. Wright, C. R. (1974). *Functional analysis and mass communication revisited. The uses of mass communications*, 197-212.
 17. Zaremba, A. (2015). *Crisis Communication theory and practice*. New York: Taylor & Francis.
 18. Zheng, Y. (2018). *Crisis Management at the BBC in Light of the Savile, Newsnight and MacAlpine Allegations*. 2nd International Conference on Economics and Management, Education, Humanities and Social Sciences (EMEHSS 2018) (გვ. 339-342). *Advances in Social Science, Education and Humanities Research*, volume 151.
 19. ბერტრანი, კ.ჟ. (2004). მედია ეთიკა და ანგარიშვალდებულების სისტემები. საქართველო: თავისუფლების ინსტიტუტი.
 20. ბერძენიშვილი, ა. (2019). „თანამედროვე სოციალური თეორიები“. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.

რეზიუმე

ოთხი მთავარი საყრდენი აქვს კრიზისულ კომუნიკაციას - კრიზისი, კომუნიკაცია, სოციალური მედია და მედია. კრიზისულ კომუნიკაციაში პროფესიულ მედიას აქვს უდიდესი წვლილი არა მხოლოდ იმიტომ, რომ თავად „მედიუმია შეტყობინება“ ან „ჩვენი საზოგადოების კულტურული მეხსიერება“! მნიშვნელობა არ აქვს, გვჯერა თუ არა პროფესიული მედიის მიერ შემოთავაზებული რეალობის (რომელიც ხშირად მხოლოდ ვარაუდებზეა დაფუძნებული), ის არის ყველაზე ძლიერი და გავლენიანი კომუნიკაციის ინსტრუმენტი, რომელსაც აქვს ბერკეტი, დააბალანსოს სოციალური მედიის ძალაუფლება.

ამ გადმოსახედიდან, როცა ნებისმიერი საინფორმაციო საშუალება მულტიმედიურ კონტენტს მოიცავს, სტატიაში საინფორმაციო საშუალებები მოხსენიებულია, როგორც „კლასიკური მედია“. კლასიკური მედია კრიზისულ

კომუნიკაციაში არ არის მხოლოდ დაინტერესებული მხარე, ის ბიზნესსამყაროს ნაწილია და კრიზისები მისთვისაც გარდაუვალია. როგორ იქცევა მედია კრიზისში? - ამის საილუსტრაციოდ სტატიაში განხილულია BBC-ის 2012 წლის „სევილის საქმე“ და შეფასებულია მედიაკრიზისის თავისებურებები.

მაგრამ მხოლოდ კლასიკურ (პროფესიულ) მედიასთან ეფექტური ურთიერთობა არ განსაზღვრავს კრიზისული კომუნიკაციის წარმატებას. კომუნიკაციის ორმხრივობამ სოციალური ქსელების მომხმარებლები ინფორმაციის პასიური მიმღებებიდან კრიზისული კომუნიკაციის დამკვირვებლებად და მონაწილეებად აქცია. ამიტომაც მნიშვნელოვანია შიდა და გარე კომუნიკაციის კომპლექსური მიდგომის საჭიროება თანამშრომლებთან, უშუალოდ მომხმარებლებთან, პარტნიორებთან, სხვა დაინტერესებულ მხარეებსა და ციფრულ აუდიტორიასთან.

THE ROLE OF SOCIAL MEDIA IN CRISIS COMMUNICATION - CHALLENGES OF PROFESSIONAL MEDIA

Khatuna Kacharava

Professor of the Faculty of Social and Humanities, of the Caucasus International
University

Pati Mamiashvili

Crisis Communication researcher, doctoral student of the mass communication
doctoral educational program of the Faculty of Social and Humanities of the Caucasus
International University

RESUME

There are four main pillars of crisis communication - crisis, communication, social media and media. The greatest contribution of professional media in crisis communication is not only because “the medium is the message” or “the cultural memory of our society”! It doesn’t matter if we believe the reality offered by the professional media (which is often based on assumptions), it is the most powerful and influential communication tool that has the leverage to balance the power of social media.

From this perspective, when any media includes multimedia content, the article refers to the media as “classical media”. Classical media is not only an interested party in crisis communication, it is part of the business world and crises are inevitable for it. How does the media behave in a crisis? - To illustrate this, the article discusses the BBC’s 2012 “Savile Case” and evaluates the features of the media crisis.

But effective communication with Classican (professional) media alone does not determine the success of crisis communication. The reciprocity of communication has turned users of social networks from passive recipients of information into observers and participants of crisis communication. Therefore, the paper discusses the need for a complex approach to internal and external communication with employees, direct customers, partners, other stakeholders and the digital audience itself.

Keywords: Crisis Communication, Social media, Professional media, Classical media, BBC

STYLISTICS AND CONTEMPORARY FICTION

Ekaterine Maruashvili

Georgian State teaching university

Of physical education and sport

Affiliated professor

Doctor of Philology


DOI: <https://doi.org/10.52340/gbsab.2024.51.04>

Keywords: Synchrony, diachrony, etymology, language evolution, comparative and reconstructive linguistics.

The key difference between synchronic and diachronic linguistics lies in the viewpoint used to analyse these two branches of linguistics. Synchronic linguistics, also known as descriptive linguistics, is the study of language at any given point in time while diachronic linguistics is the study of language through different periods in history.

Synchronic linguistics and diachronic linguistics are two main divisions of linguistics. The Swiss linguist Ferdinand de Saussure introduced these two branches of linguistics in his *Course in General Linguistics* (1916). Overall, synchrony and diachrony refer to a language state and to an evolutionary phase of language. Synchronic linguistics, also known as descriptive linguistics, is the study of language at any given point in time, usually at present. However, this point in time can also be a specific point in the past. Thus, this branch of linguistics attempts to study the function of language without reference to earlier or later stages. This field analyses and describes how language is actually used by a group of people in a speech community. Thus, involves analysing grammar, classification, and arrangement of the features of a language. Synchronic linguistics is the study of language at any given point in time while diachronic linguistics is the study of language through different periods in history. Thus, the main difference between synchronic and diachronic linguistics is their focus or viewpoint of study. Diachronic linguistics is concerned with language evolution while synchronic linguistics is not. Moreover, the latter focuses on subjects such as comparative linguistics, etymology and language evolution while the former focuses on grammar, classification, and arrangement of the features of a language. The difference between synchronic and diachronic linguistics depends on their focus of study. This is because the former looks at language at a given period of time while the latter looks at language through various periods in history. However, both branches are important in order to study a language properly.

Unlike diachronic linguistics, it does not focus on the historical development of language or language evolution. Ferdinand de Saussure introduced the concept of synchronic linguistics at the beginning of the twentieth century. What is Diachronic Linguistics? Diachronic linguistics basically refers to the study of language through different periods in history. Thus, it studies the historical development of language through different periods of time. This branch of linguistics is the diachronic linguistics. Main concerns of diachronic linguistics are as follows: Describing and accounting for observed changes in particular languages reconstructing the pre-history of languages and determining their connection, grouping them into language families Developing general theories about how and why language changes describing the history of speech communities studying the history of words.



Synchrony and diachrony are two complementary viewpoints in linguistic analysis. A synchronic approach (from Ancient Greek: συν- “together” and χρόνος “time”) considers a language at a moment in time without taking its history into account. Synchronic linguistics aims at describing a language at a specific point of time, often the present. In contrast, a diachronic (from δια- “through” and χρόνος “time”) approach, as in historical linguistics, considers the development and evolution of a language through history.

For example, the study of Middle English - when the subject is temporally limited to a sufficiently homogeneous form - is synchronic focusing on understanding how a given stage in the history of English functions as a whole. The diachronic approach, by contrast, studies language change by comparing the different stages. The terms synchrony and diachrony are often associated with historical linguist Ferdinand de Saussure, who considered the synchronic

perspective as systematic but argued that language change is too unpredictable to be considered a system.

